სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N10 (9297) | 10 აპრილი. 2019 წელი | ფასი 50 თეთრი

ომახიანი შავლეგოთი მტკიცდა საქართველოს თავისუფლება

2 სიკვდილი მოვიდა უკვღავებად!

ახალ ხარისხზე ასწია ერი! 7

14 აპრილი ქართული ენის დღეა! 5

ტოლების ტელეფონიდან თავისუფლების ქანდაკებამდე 9

9 როგორს წაიკითხავდა "სამტრედიის მაცნეს" მომავალი თაობა

"კონსერვატორების" ჟანგბადით გამდიდრებული აქცია 4

3 მოსავალი წყალში აღარ ჩაიყრება

ომახიანი "შავლეგოთი" მტკიცედ საქართველოს თავისუფლება

თეა ბაბუნაშვილი

30 წლის წინ ბარ-ნიჩბით დაჩეხილი ლურჯი აპრილი სისხლით შეეღება საქართველოს. ცრემლიანი გაზაფხული დაუდგა თავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყანას, ომების ისტორიად რომ მოჰყვება მტერზე ღირსეულად გამარჯვებული წარსული. თავად არასდროს ყოფილა დამპყრობელი, მორჩილებას ამაოდ ითხოვდნენ თავისუფალი სულის ხალხისგან, ღვთისმშობლის წილხვედრად რომ გააჩინა უფალმა დედამიწაზე.

აპათიის დრო არც ახლა აქვს ქართულ თვითმყოფადობას. იქნებ ვინმეს ვადამეტებულად მოეჩვენოს, თუ ვიტყვით, თავდაყირა დამდგარ ქართულ პოლიტიკაში ისევ რომ ვერ აპრილობს გაზაფხულიმაგრამ... ალბათ, ესეც ქართული ტემპერამენტისა და მენტალიტეტის გამო!

და მაინც, "უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადი თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს!"

გლოვის ზარი "შავლეგოთი" აამღერს ქართველებმა იმ ჯოჯოხეთურ ღამეს, ცრემლიან-სისხლიანი დილით 30 წლის წინ რომ გაათენა აპრილმა. "ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში" _ ქართული სულის გამოძახილად მოჰყვა შემზარავ განთიადს. მას შემდეგ, მათი ხსოვნა სამშობლომ სანთლებად აინთო და მათი სისხლით მოტანილი თავისუფლება დროშად ააფრიალა.

მემორიალთან კვლავ ცრემლად ენთო ტკივილით გაჟღენთილი სიამაყე. ყველგან საქართველოში და ბუნებრივია, სამტრედიაშიც ტიტებად აყვავებული დილა საცხრააპრილოდ გათენდა. წელსაც ვაჩუქეთ ერთმანეთს ტიტები 30 წლის წინანდელი ტკივილის უკვდავებად, "შავლეგო" ისევ ისე შემოვძახეთ, რომ ფილტვები გვეტკინა და დაგვებერა, საქართველოს ცხელი გულის ფეთქვას საკუთარიც შევაშველეთ. "ეს იყო ბრძოლა შეიარაღებულ რუს ჯარისკაცებსა და უიარაღო ადამიანებს შორის, ეს იყო ბრძოლა, თავისუფლებასა და მონობას შორის. ჩვენი ისტორია არის ბრძოლის და გმირობის ისტორია, რომელშიც 9 აპრილი მნიშვნელოვანი ფურცელია. მან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის დიდი სტიმული მოგვცა. დღეს, როცა უკვე ვართ დამოუკიდებლები, ხშირად გაიგონებთ ისეთ ფრაზებს, რომლებიც არ ეკადრება იმ ადამიანების ხსოვნას, ქვეყანას რომ შეეწირნენ. ჩემი თაობის ადამიანებს, დღესაც გვიახლდება ის განცდები, 30 წლის წინ რომ მოჰყვა ამ ტრაგიკულ დღეს. ამ დღის შემდეგ მე ისეთი ერთიანობა საქართველოში არ მინახავს. ეს ძალიან კარგად იცის ჩვენმა დიდმა მტერმა, რომელსაც დღესაც ოკუპირებული აქვს ქვეყნის ერთი მესამედი. მჯერა, ყველა მალე მიხვდება, რომ კავკასია ქართველების გარეშე წარმოუდგენელია და ჩვენი ოსი და აფხაზი ძმები მალე დაგვიბრუნდებიან. მე მინდა მოგილოცოთ დღე, რომელიც, ცრემლის მიუხედავად, ზეიმად იქცა საქართველოში." _ ამბობდა მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია დაღუპულთა მემორიალთან.

"ეროვნული მოძრაობის ტალღა 9 აპრილის ღამეს და ამ დღის შემდეგ კიდევ უფრო შეუპოვარი გახდა საქართველოში. ამ დღის ტკივილმა როგორც არასდროს ისე შეაკავშირა ერი. ბოროტების იმპერია უიარაღო გოგო-ბიჭებმა დაამარცხეს საკუთარი სისხლით. ეროვნული მუხტი, ამ დღეს რომ მოჰყვა, არ უნდა ჩაქრეს ჩვენს ქვეყანაში. ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე." _ ამბობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ომის მონაწილე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია. იმ დღეების ექო დღესაც გასდევდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენლის, ჯონი ნადირაძის გამოსვლას: "9 აპრილის ხსოვნას ოქროს ასოებით უნდა წაეწეროს, რომ ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და მისი აღდგენის დღე!"

"დღევანდელი დღე საქართველოს უახლესი ისტორიის ორ მნიშვნელოვან თარიღს აერთიანებს, 1989 წლის 9 აპრილის ეროვნული ტრაგედიისა და 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. ჩვენი ვალია, არა მხოლოდ ეს თარიღები გვახსოვდეს, მათი მნიშვნელობა ქვეყნისათვის კარგი ქართველობით გავითავისოთ." _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, დავით ბახტაძემ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, რომელიც იმ დღეებში დედაქალაქში გამართული საპროტესტო აქციების უშუალო მონაწილე გახლდათ, აღნიშნავდა: "ზვიად გამსახურდიას დავალებით, რვაში მომიწია დედაქალაქის დატოვება, თორემ ცხრაში თავადაც იქ ვიქნებოდი. 9 აპრილი ქართველობის, ქართული სულის გამოძახილი იყო და არის. ჩვენი ვალია, მისი მნიშვნელობა შთამომავლობას იმ ღირსებითა და ემოციით გადავცეთ, როგორც ამ თარიღის ხსოვნას ეკადრება."

ცხადია, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან სამტრედიელი ჩოხოსნებიც იმყოფებოდნენ. ერთადერთმა ჩოხოსანმა ქალბატონმა სამტრედიელ ჩოხოსანთა რიგებში, ჩვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ქეთევან ჭელიძემ, იმ საგულისხმო ფაქტს გაუსვა ხაზი, რაზეც თვალის დახუჭვა რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია. საზოგადოების აქტიურობა ამ დღის აღნიშვნის ცერემონიას ნამდვილად აკლდა, და ასეა უკვე არაერთი წელია. რიგითი სამტრედიელები, მოქალაქეები სხვა, თუ არაფერი, სამოქალაქო ვალს უნდა იხდიდნენ მემორიალთან. ქეთევან ჭელიძე ამბობდა: "ამ მოედანს ბევრი მიტინგი და საპროტესტო აქცია ახსოვს. დღევანდელი დღეც ერთგვარად საპროტესტო აქციაა. ძალიან ცუდია, რომ სამტრედიელების ერთი ნაწილი ასეთ დღეს არ მოდის ამ მემორიალთან. სახალხო დღესასწაულებად უნდა ვაქციოთ ასეთი დღეები და ყველას დავანახოთ, რომ ქართველს სამშობლოს სიყვარულის ძარღვი არ გასწყვეტია!"

და კვლავ ის, რაზეც უმჯობესია არ ვწერდეთ! წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, ხელისუფლება და ოპოზიცია ცალ-ცალკე გამოვიდნენ მემორიალთან. ორივე მხარეს ამისთვის საკუთარი არგუმენტები აქვს. მას შემდეგ, რაც ყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი, ოპოზიციის ლიდერმა ემზარ შუბლაძემ განაცხადა: "1989 წლის 9 აპრილს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში, რადგან სწორედ ამ თარიღს მოჰყვა საბჭოთა იმპერიის ნგრევა. იმ ადამიანების, იმ გოგო-ბიჭების სისხლით 9 აპრილის ღამეს რომ დაიღუპნენ, ჩვენი ქვეყანა დღეს თავისუფალია."

კითხვაზე, და რატომ არა ერთად იმ დღეს მაინც, რომელმაც 30 წლის წინ მთელი ერი გააერთიანა, ემზარ შუბლაძე პასუხობს: "რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოვედით ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენ ვერასდროს ვიქნებით მათ გვერდით ვერც 9 აპრილს და ვერც 8 აგვისტოს, ქართველი ხალხისთვის ამ ყველაზე ტკივილიანი თარიღების აღსანიშნავად. და ეს იმ დამპყრობლის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების და პოლიტიკის გამო, რაც მათ დღეს აქვთ. სწორედ რუსეთი გახლდათ ორივე შემთხვევაში შემოქმედი იმ დიდი ტრაგედიისა, საქართველოში რომ დატრიალდა. მათ ლოიალური დამოკიდებულება აქვთ იმ ძალასთან, რომლებმაც 9 აპრილი მოაწყვეს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს."

"როგორც სჩვევია ისე, გმირობით, საკუთარი სისხლით მოიპოვეს ქართველებმა დამოუკიდებლობა. 9 აპრილს სიკვდილი და უკვდავება ერთად შემოვიდა საქართველოში. ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც იცის ამ დღის ფასი და მნიშვნელობა!" _ აღნიშნა "ნაციონალური მოძრაობის წევრმა, მამუკა ბიბილეიშვილმა. მემორიალთან გამოსვლის შემდეგ, საკუთარ მხარდამჭერებთან ერთად, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი "ნაციონალური მოძრაობის" შეკვეთით გადაიხადეს. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ სურვილი გვქონდა, ეს ორი აქცია ერთ საგაზეთო წერილში მოგვექცია!

და კიდევ ის, რომ იმ დილას, და ალბათ, იმ დღესაც ერთადერთი გახლდათ ქალბატონი ინეზა თევზაძე, რომელმაც ტიტები მიიტანა მემორიალთან, როგორც რიგითმა სამტრედიელმა და უბრალოდ, ქართველმა, 9 აპრილის ხსოვნა ტკივილიან სიხარულად რომ შემორჩა მის ცნობიერებას. "მაშინ პარტიის რაიკომში ვმუშაობდი, მაგრამ იმ დღეებში იქ ვიდექი, სადაც ქართველი უნდა მდგარიყო!" _ ამბობდა იგი და ისევ ცრემლი ერეოდა თვალზე. ეს ფაქტი განსაკუთრებით უნდა აღნიშნულიყო ამ წერილში!

დაღუპულთა მემორიალთან ამღერებული "გადღეგრძელებ, საქართველო, კიდევ უფრო აღორძინდი", 30 წლის წინანდელ ემოციებს აახლებდა, ომახიანი "შავლეგოთი" გტკიოდა თავისუფლების ბედნიერება და ბოლოს, როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული ფრაზით ვამბობთ _ "მადლობა თავისუფლებისთვის!"

მოსავალი წყალში აღარ ჩაიყრება

თეა ბაბუნაშვილი

უკვე კარგა ხანია, წყალს მიჰქონდა გომელების წლის მოსავალი. ამიერიდან ასე აღარ იქნება, საყანე ფართობები არ დაიტბორება. რადგან დაბოლოს საშველი დაადგათ, წლების წინ გაჭრილ, მაგრამ ასევე წლებია გაუწმენდავ არხებს, ადრიანი გაზაფხულის სუსხის მიუხედავად, სიხარულით წმენდდნენ გომელები. უფრო სწორად, ფართობში მომუშავე ტექნიკის მუშაობას თემში მერი წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი და საკრებულოში თემის დეპუტატი დავით ამაღლობელი ადევნებდა თვალყურს რამდენიმე თანასოფლელთან ერთად. "შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ სოფლის დიდი ხნის პრობლემა. ფაქტობრივად, ბოლო არაერთი წელია არ ამოწმენდილა წყალსაწრეტი არხი, რომელიც იცავს საყანე ფართობებს წყლის ჩადგომისა და დაჭაობებისგან. ამ ფართობებით დაბლა გომის, კეთილაურისა და ცივწყალას მოსახლეობა სარგებლობს." _ სიტუაციაში გვარკვევს დავით ამაღლობელი. იმ რამდენიმე გომელიდან, სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად რომ ადევნებდა თვალყურს მიმდინარე სამუშაოს, ერთ-ერთი ზურაბ ჩაჩუა გახლდათ, ერთ დროს გომში არსებული სასოფლო მეურნეობის მთავარი აგრონომი და დირექტორი, ადამიანი, რომელმაც, როგორც დათო ამაღლობელმა აღნიშნა, ფაქტობრივად ზეპირად იცის არხების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგომარეობა გომში. 1994 წელს იგი თავად ხელმძღვანელობდა იმ 400 მეტრიანი არხის გაჭრას, რომლის განიც ზოგ ადგილებში 2.5-3 მეტრსაც აღწევს. ეს სწორედ ის არხი გახლდათ, გომის სავარგულები დატბორვისგან რომ უნდა ეხსნა. თუმცა, იგი ერთადერთი არ არის, რომელიც ამ ეტაპზე გაიწმინდება. გომის თემში მსგავსი დატვირთვის კიდევ ორი წყალსაწრეტი არხი გასუფთავდება წლებით ნაგროვი ნატანისაგან. სამუშაოები სტიქიით დაზარალებული ობიექტების აღდგენის პროგრამით დაფინანსდება, მათ შორის ის სამუშაოებიც, რომლებიც რუსიების უბანსა და მთისძირში ჩატარდება. "მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით, იმედია მალე მოგვარდება წლებით ნაგროვები ეს პრობლემა. ამჯერად 50 ჰექტარ ფართობს ეშველება ჩვენს სოფელში." _ აღნიშნა დავით ამაღლობელმა.

საქმეში ჩახედულმა ზურაბ ჩაჩუამაც გაიხსენა, რომ: "ეს არხები 1994 წელს გაიჭრა, სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე აქტიურად გახლდით ჩაბმული ამ საქმეში. მას მერე არავინ გაკარებია მათ ამოსაწმენდად და გულგრილობამ შედეგიც გამოიღო _ ამოივსო ქვა-ღორღითა და ნატანით. გაჭირვებით ჯერ ისევ მოგვყავს აქ სიმინდის მოსავალი. მდინარე რაონისა და ყუმურის წყლის ადიდებას უნდა მოვასწროთ მისი გატანა შემოდგომაზე, თორემ წლის სარჩო წყალს მიაქვს მერე. ბოლოს რაც მახსოვს, 50 ჩენგელა ფოთში ჩაიტანა. დაბალია ჩვენი მხარე და წყალს ვერ ეტყვი არ დატბორო. ეს სამუშაო, ახლა რომ ტარდება, დიდ შეღავათს მისცემს სოფელს, ჰაერივით საჭირო იყო იგი."

გომის თემში მერის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი აკონკრეტებს: "პირველ ეტაპზე 360 გრძივი მეტრი გაიწმინდება. შემდეგ განშტოებები დაემატება 120 გრძივ მეტრზე. ამჯერად სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით სრულდება. მელიორაციის სამსახურთან რომ გაგვეფორმებია ხელშეკრულება მათ გაწმენდაზე, ყოველწლიურად სოლიდური თანხა გვექნებოდა გადასახდელი."

სამუშაოების დასათვალიერებლად გომში ჩასული მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია აცხადებდა: რომ "როცა მოსახლეობა საწრეტი არხების გაწმენდის თხოვნით მოგვმართავს, თუ შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი ტექნიკით უზრუნველვყოთ სამუშაოები, ვასრულებთ მათ ჩვენი ტექნიკით. თუ არადა, ვაცხადებთ ტენდერს და შესაბამისი ორგანიზაციები მუშაობენ ამ საქმეზე. ამ შემთხვევაში სოფლის ხელმძღვანელისა და დეპუტატის მოთხოვნის შედეგად კეთილმოწყობის სამსახური ასრულებს სამუშაოებს საკუთარი ტექნიკით. თუ სხვა ტიპის ტექნიკის მიხმარება დასჭირდებათ, იმასაც მივახმართ."

გაწმენდილი საწრეტი არხები საკუთარ დანიშნულებას ამიერიდან კარგად შეასრულებენ და არც მდინარის ადიდება იქნება საფიქრალი მოსავლის აღება-დაბინავებისას. ეს სოფლისთვის საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებაა, აცხადებდნენ სამუშაოების თვალყურის სადევნებლად გამოსული გომელები.

ყველაზე ახლო გზა ქალაქამდე

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის და საკრებულოს პირველი პირები, მას შემდეგ, რაც ძლიერი ქარით დაზიანებული საერთო საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები დაათვალიერეს, სოფელ დიდ ჯიხაიშში ჩავიდნენ, სადაც გზის ერთი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. დიდი ჯიხაიში-ეწრის მონაკვეთი, რომლის აღდგენის სამუშაოები 604 ათასი ლარი ჯდება, გარდა იმისა, რომ ამ ორი სოფლის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ყველაზე მოკლე გზაა, იგი დიდ ჯიხაიშს სამტრედიასთანაც ყველა სხვა გზაზე მალე აკავშირებს. "დიდებული საქმე კეთდება. მოსახლეობის მოთხოვნაც ეს იყო. გარდა ამისა, წყალსაწრეტი არხების გაწმედის საკითხი გვაქვს პრობლემად, რასაც, როგორც მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დაგვპირდა, მალე მოგვაგვარებინებენ." _ ამბობს დიდი ჯიხაიშის მაჟორიტარი საკრებულოში, გოგი ლეჟავა. "დაახლოებით 7 კილომეტრით აახლოვებს ეს გზა ქალაქამდე. მოსახლეობის მოთხოვნა ამჯერად ეს იყო, მზად ვართ მათ სხვა პრობლემებიც მოვუგვაროთ, რომლებზეც დღეს გვესაუბრნენ." _ განაცხადა დიდი ჯიხაიშში ვალერი ფოცხვერიამ.

სამუშაოები, რომელიც შეკრებილი მოსახლეობის კმაყოფილების ფონზე დაიწყო გრძელდება და როგორც ამბობენ ვადების სრული დაცვით დასრულდება.

დაზარალა ქარმა, აანაზღაურა მერიამ

თეა ბაბუნაშვილი

ზარალი, 30-31 მარტის ქარმა რომ მიაყენა სამტრედიის მუნიციპალიტეტს, თუ მნიშვნელოვანი არა, არც უმნიშვნელოა. საქმის კურსშია და ყველა დაზიანებულ ობიექტზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. რამდენიმე დღის წინ კი მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მის მოადგილე კობა ძიძიგურთან ერთად, სამტრედიის უძველეს უბანში, რკინიგზელთა დასახლებაში ერთ-ერთი კორპუსის გადახურვის სამუშაოებს თავად დაესწრნენ.

ძლიერმა ქარმა სამტრედიაში სახურავი გადახადა ოთხ საცხოვრებელ სახლს. ისინი ჭაგანში, ბაშში, ეწერსა და ქალაქის ტერიტორიაზე, თავისუფლების ქუჩაზე მდებარეობენ. გარდა ამისა, სახურავი გადააძრო 1 კორპუსსა და სამ საბავშვო ბაღს.

რკინიგზელთა დასახლებაში იმ კორპუსში, საჭირო საშენი მასალა რომ მიიტანეს, განსაკუთრებულად დაზიანებული ნანა ძიგუას საცხოვრებელი ბინა გახლდათ. როგორც მან განაცხადა: "პირველივე მიმართვისას სათანადო ღონისძიებები გაატარა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და უკვე დაწყებულია გადახურვის სამუშაოები. დღე ერთი იყო და, რამდენჯერმე მოვიდნენ შესამოწმებლად, რა სამუშაოების ჩატარება იქნებოდა საჭირო."

"როგორც ვიცით, ქარს წვიმა მოჰყვა, ამიტომ, ამინდს დაველოდეთ და სტიქიით დაზარალებულთა ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, ადგილზე არსებულმა სამშენებლო კომპანიებმა დაიწყეს შესაბამისი სამუშაოების შესრულება. სულ 140 ათასი ლარი დასჭირდება ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრას. სადაც საჭიროა, ანუ, საერთო საცხოვრებელ სახლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სამუშაოების ჩატარებას, კერძო საცხოვრებელ სახლებს რაც შეეხება, მეპატრონეებს გადაეცათ თუნუქისა და ხის მასალა და ისინი თავად გადახურავენ საკუთარ სახლებს." _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ.

იქვე მყოფი საკრებულოს თავმჯდომარე კი გულისწყვეტით საუბრობდა, რომ სურვილის გარდა, ამ უძველესი უბნის ინფრასტრუქტურა იძლეოდა საშუალებას, ეს უბანი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესულიყო, თუმცა, უნებართვო მიშენებებმა ეს შესაძლებლობა უკვე მოსპო.

დაწყებული სამუშაოები ახლო მომავალში დასრულდება. მას, ვინც სამტრედიაში მარტის ბოლო დღეებში ქარისგან დაზარალდა, ზიანი ადგილობრივმა მერიამ აუნაზღაურა.

“კონსერვატორების” ჟანგბადით გამდიდრებული აქცია

ნინო ნანიტაშვილი

ეს არ იყო “კონსერვატორებისთვის” პირველი აქცია. ფაქტობრივად, ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე კონსერვატიული პარტიის სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია გამწვანების აქციის გამართვის ინიციატივით გამოდის და თავისი წარმომადგენლობით ჩვენი ქალაქის განაშენიანების პროცესში ერთვება. სამტრედიაში არაერთ უბანსა და კუთხეში ნახავთ გახარებულ ნერგებს, რომლებიც სხვადასხვა დროს “კონსერვატორების” სხვადასხვა აქტივობის შედეგად გაჩნდა.

ამჯერად გამწვანების ობიექტი გახდა მე-10 ბაგა-ბაღის ეზო, სადაც “კონსერვატორებმა” ფიჭვისა და ცაცხვის ნერგები დარგეს. აქციაში აქტიურად ჩაერთვნენ მე-10 ბაღელები და მათი აღმზრდელები. ნერგები თავისი სოფლიდან წამოიღო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “კონსერვატორების” თავმჯდომარემ, რაჟდენ ტორონჯაძემ.

“მან სოფელს “მოაკლო” სუფთა ჰაერი და მე-10 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს უწილადა,” _ განაცხადა “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში კობა ძიძიგურმა.

“კონსერვატიული” პარტიის იმერეთის რეგიონის ხელმძღვანელმა იქვე ზოგადად შეაფასა დღის აქტივობა და გვესაუბრა ქალაქის გამწვანების მნიშვნელობაზე: “არა ერთი მსგავსი აქცია ჩაგვიტარებია, მაგრამ ასეთი სასიხარულო არცერთი არ იყო, რადგან ჩვენთან ერთად 20-მდე პატარა ფუსფუსებდა და ყველა მათგანი ცდილობდა, რაღაცით დაგვხმარებოდა. ზოგიერთი ნერგს იკავებდა, ზოგი ახლადდარგულზე მიწის მიყრას ცდილობდა, ზოგიც წყალს უსხამდა. მათთვის ყველაფრის კეთება სასიხარულოა და სიამოვნების მიმნიჭებელი. ვისარგებლებთ და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობას გადავუხდი ბაგა-ბაღის მმართველს, ქეთევან შაშიაშვილს და აღმზრდელებს, რომლებმაც ბავშვებთან ერთად მიიღეს ეზოს გამწვანებაში მონაწილეობა”.

მეფუტკრეობის მდგრადი განვითარება საქართველოში

ნინო ნანიტაშვილი

პროექტს, რომელიც ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერაა დაფინანსებული და მისი მიზანია საქართველოში ხარისხიანი თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების მოცულობისა და ღირებულების ზრდა, საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია “ფიფლ ინ ნიდ” (PIN) ახორციელებს.

4 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ. მეფუტკრეებს პროექტის შესახებ ინფორმაცია თეონა ფურცხვანიძემ მიაწოდა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის 60-მდე სკის მფლობელ მეფუტკრეებს შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ უფასო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსი, 7 სალექციო დღე. კურსი ჩატარდება რეგიონებში მოღვაწე გამოცდილი ფერმერების საფუტკრეებში და სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსის მსმენელებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში, რომელიც მომდინარე წლის ივნისში გამოცხადდება.

საინფორმაციო შეხვედრაზე ფერმერებს დაურიგდათ და იქვე შეავსეს, მარტივი სარეგისტრაციო ფორმები, რომლის მიხედვითაც შეირჩევიან კურსის მსმენელები. სარეგისტრაციო ფორმების შევსება ასევე შესაძლებელი იქნება 10 აპრილამდე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში.

შეხვედრაზე ითქვა, რომ შერჩეულ მონაწილეებს თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდებათ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარა ჯიხაიშში. ტრენინგს წარუძღვება გამოცდილი მეფუტკრე, გოგი ლაკვეხელიანი. სასწავლო კურსი მაისში დაიწყება.

“ჯეოჰოსპიტალსის” საჩუქარი მოსახლეობას

მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები ბოლო რამდენიმე წელია ხშირად ტარდება სამტრედიის მუნიციპალიტეტში. ეს ერთგვარი საჩუქარი გახლავთ სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრ “ჯეოჰოსპიტალსისა”, რომლის მიმდინარეობაშიც აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი ხელისუფლება.

თითქმის ყველა პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ამჯერად იანეთის თემს სტუმრობდა და მოსახლეობას უფასო სამედიცინო კონსულტაციებს უტარებდა. მიმართვიანობა მაღალი გახლდათ. მხოლოდ დღის პირველ ნახევარში, ჯერ ისევ დილის საათებში, 70-ზე მეტმა პაციენტმა გაიარა კონსულტაცია. “ჯეოჰოსპიტალსის” ადმინისტრაციული დირექტორი ლელა ხურციძე საუბრობს იმაზე, რომ: “ამგვარი აქციების ჩატარება, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციად გვექცა. მიუხედავად იმისა, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სადაზღვევო პროგრამა მუშაობს, მოსახლეობა მაინც თავს იკავებს ექიმთან მისვლისგან. თვლიან, რომ შედარებით უსაფრთხო ჩივილები, ისედაც ჩაივლის. მინდა ვუთხრა მათ, რომ შეიძლება ამგვარ ჩივილებს დიდი გართულებები მოჰყვეს. ჩვენც, “ჯეოჰოსპიტალსის” წარმომადგენლებმა, ექიმებმა, გადავწყვიტეთ, რომ ამგვარი ფორმით მოგვეხდინა მოსახლეობის ერთგვარი გადამოწმება. ამიტომ, ჩვენ მივედით მათთან უფასო აქციებით. ამჯერადაც გამოვლინდა ოპერაციამდე გართულებული არაერთი შემთხვევა, თერაპიული პროფილის რამდენიმე პაციენტი, შემდგომი მკურნალობის აუცილებლობით. აქცია ადგილობრივ მერიასთან ერთად იგეგმება. როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც იგი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში ჩატარდება.”

თავის მხრივ მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს გადაუდებელ ოპერაციებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. ან იმ შემთხვევებში ეხმარება პაციენტს წილობრივი მონაწილეობით, როცა ოჯახს თანხის სრულად გადახდა უჭირს. მუნიციპალიტეტის მერმა ხაზი გაუსვა, რომ მზად არიან: “პაციენტებსა და მათ ოჯახებს გვერდით დაუდგნენ საჭიროების შემთხვევაში. ამგვარი აქციები საჭირო და აუცილებელიც კია. ამ ტრადიციის დამკვიდრებისთვის მადლობას ვუხდი მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრ “ჯეოჰოსპიტალსსა” და მის დირექტორ ირაკლი ლაღიძეს. ვიმედოვნებ, ამ კუთხით ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება. რაც შეეხება, საოპერაციო პაციენტებს, რომლებიც დღეს გამოვლინდნენ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მათგანს დავეხმარებით.”

თავის მხრივ, სამედიცინო ცენტრი “ჯეოჰოსპიტალსი” განცხადებას აკეთებს: “სიამოვნებით გვინდა გაცნობოთ, რომ “ჯეოჰოსპიტალსი” ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და პაციენტებისთვის სამედიცინო სერვისების მიწოდების გამარტივებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შპს “ჯეოჰოსპიტალსის” სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მთელ რიგ სერვისებზე ფასდაკლების განხორციელების შესახებ 2019 წლის აპრილიდან. თითქმის 36%-მდე ფასდაკლება იმოქმედებს ლაბორატორიულ კვლევებსა და შემდეგ სერვისებზე: ექიმ-სპეციალისტების კონსულტაცია, რენტგენოგრაფია, ულტრასონოგრაფია, ფიბროეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია.”

სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი “ჯეოჰოსპიტალსი” უფასო სამედიცინო აქციებს მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით სხვადასხვა სოფლებში ეტაპობრივად კვლავ გააგრძელებს.

თეა გაბუნავაშვილი

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

ლევან გაბეჩავა

1978 წლის აპრილში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად, საქართველოს დედაქალაქ თბილისში სტუდენტებისა და ინტელიგენციის მონაწილეობით, საპროტესტო, მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა.

მოსკოვი, კრემლი ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად რუსული ენა ჩაწერილიყო... თუმცა, მოსკოვმა უკან დაიხია.

ქართველმა ერმა იხსნა ენა თვისი, მოგვიანებით კი, ძეგლი დაუდგა "დედაენას."

"11 სექტემბერს თბილისში მაღალი კვარცხლბეკიდან აწკრიალდა სიმბოლური "ცოდნის ზარი _ დედაენა". საზეიმოდ ჟღერს ჰიმნი, რომელიც კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ შექმნა 1976 წელს, "დედაენის" 100 წლისთავის დღეებში. ედუარდ შევარდნაძე და ქართული მეცნიერების პატრიარქი აკაკი შანიძე ჭრიან ლენტს, 14 მეტრიანი კომპოზიციიდან, რომლის ავტორები არიან მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი, ნელა ეშვება თეთრი საბურველი. შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგათ ბრინჯაოში ხორცშესხმული ძეგლი ცოდნისადმი ხალხის მარადიული მისწრაფებისა..." ვკითხულობთ 1983 წელს გაზეთ "სამშობლოს" სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში, "დედაენის" ძეგლის გახსნას რომ ეძღვნება.

დიახ, ძეგლი დაუდგა ქართველმა კაცმა "დედაენას" და ამით თქვა ყველაფერი, გამოხატა მისი სიყვარული და პატივისცემა მშობლიური ენისადმი, მწერლობისადმი, კულტურისადმი.

ქართველი ერისკაცები თუ სასულიერო მოღვაწენი, თაობებს შეახსენებდნენ მშობლიური ენისადმი გაფრთხილებასა და სიყვარულს.

"დედაენა არის უფლის კურთხევით, ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი, დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი".

კირიონ მეორე

"ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარაენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ, მხატვრულ ყალიბში არ ჩამოასხას".

ნიკო მარი

"ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას არ გააჩნია სხვა რამ ისეთი ძვირფასი განძი, როგორიც არის მშობლიური ენა. იგი შეუთვისებია ადამიანს დედის რძესთან ერთად".

გიორგი ახვლედიანი

"მე დაგიგდებთ ყურს,/ თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე,/ მე დაგიგდებთ ყურს,/ თვეობით და წელიწადობით/ ილაპარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ,/ ოღონდ ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!"

გალაკტიონ ტაბიძე

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასამდე ენაა, ანბანი კი, მხოლოდ თოთხმეტი.

ცნობილია ქართული ანბანის სამი სახეობა: ასომთავრული, (მეცხრე საუკუნემდე) ნუსხური, (მეცხრედან მეთერთმეტემდე). მეთერთმეტედან _ მხედრული.

ქართული ანბანის ყოველ ასოს, ისევე, როგორც სხვა ანბანთა ასოებს, თავისი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

გვიყვარდეს, ვადიდოთ, დავიცვათ ენა ქართული!

მომავალ შეხვედრამდე

ლევან გაბეჩავა

ლურჯი აპრილი იმ დღეს დაიწყო, თუმცა, მარტი მარტობას არ თმობდა და სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. საოცარი სითბო იყო მხოლოდ იმ სახლში, სათნოების რომ ჰქვია და სათნო მოხუცები რომ ბინადრობენ.

იდეა, ამ სახლის ბინადართათვის ერთი ჩვეულებრივი დღე გაელამაზებიათ, დიდი ხნის წინ დაიბადა საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე და 1 აპრილს იდეას ხორცი შეესხა.

საზოგადოება "სამტრედიელის" თავმჯდომარე ტატა გოგუაძე, თავმჯდომარის მოადგილე მოგელი კუპრეიშვილი, გამგეობის წევრები: თემურ ტორონჯაძე, გია ბოჭორიშვილი და სხვები, "სათნოების სახლს" ხელდამშვენებულნი ეწვივნენ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ფოლკლორული ანსამბლი "ჩანგი" (ხელმძღვანელი მერი ტკაცირია) აახლა მრავალფეროვანი რეპერტუარით სახლის ბინადართ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პირველი შემოგვეგება "სათნოების სახლის" დირექტორი, მამა შიო (ჭაფოძე) და ყურადღებისათვის ყველას მადლობა გადაგვიხადა.

ვიდრე მოხუცები დარბაზში ივრიბებოდნენ, საშუალება მოგვეცა "სათნოების სახლის" ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს იმ პრობლემებზე გავსაუბრებოდით, რომელთა წინაშეც ისინი ყოველდღიურად დგანან.

ირგვლივ სისუფთავე გამეფებულა. უბრალო დამთხვევა იყო, იმ დროს მივედით, როცა სახლის ბინადართათვის ხილის, მინერალური წყლისა და სხვა საჭირო პროდუქტის მორიგი მარაგი მიიტანეს. სტუმრებიც ჩავერთეთ მანქანის დაცლაში და ამასობაში, "ჩანგიც" ამღერდა.

ვის ყმაწვილქალობა, ვის კიდევ ჭაბუკობა, სიცელქე და ონავრობა მოაგონა ქართველთა ცნობიერებაში წლობით გამჯდარმა ფოლკლორმა და განა მარტო ბავშვები? მოხუცებიც სიმღერის ხასიათზე მოიყვანა. 101 წლის გალინა ზაქრაძემ პატარები თავისთან იხმო და "სულიკო" და "ჩემო ციცინათელა" შეასრულა. რა თქმა უნდა, ოვაციამაც არ დააყოვნა.

მერე ერთმა ბინადარმა უშუალობით "ძმაბიჭებში დაჩაგრული"... შემოსძახა. აჭარულ მელოდიებზე აცეკვდა სხვა მობინადრე.

ერთი სიტყვით, ამ დღეს ყველანი ბედნიერები იყვნენ, თუმცა არა მარტო ქალბატონების, მამაკაცების თვალებზედაც კიაფობდა ცრემლი, ცრემლი სიხარულისა და ცრემლი სინანულისა. შევიტყვეთ, რომ ბინადართაგან ბევრს საკუთარი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები ჰყავთ. თუმცა...

რამდენიმე ბინადარი თვალში დაგვაკლდა. შევწუხდით, როცა მათი გარდაცვალების შესახებ შევიტყვეთ. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრების კანონზომიერება.

უდიდესი მადლობა ყველას, ორი ჩემი ხნის მოიყარეთო, გულწრფელად გალოცავდა 101 წლის გალინა ბებო, უკვე მისი პერსონალური ოთახიდან, სადაც დღემდეა თვალსაჩინო ადგილზე მოზრდილი მისალოცი მისი საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად რომ განთავსდა.

"სათნოების სახლის" ბინადართაგან ბევრი საწოლსაა მიჯაჭვული. გული არც მათ დასწყვიტეს პატარებმა და ოთახოთახ შემოიარეს სიმღერ-სიმღერით. საწოლშიც ამღერდნენ და აცეკვდნენ მოხუცები. წუთით თითქოს სიბერეც დაავიწყდათ და წყეული ავადმყოფობაც. ლოცვა ისმოდა იმ დღეს ყოველი ოთახიდან, რომლის ავტორებიც არამც თუ მიუსაფარი, არამედ საზოგადოებისაგან, კეთილი ადამიანებისაგან, დიახაც, რომ ყურადღებით მოსილი სათნო მოხუცები იყვნენ.

"საოცრად კმაყოფილი ვართ, რომ დღევანდელი დღე შედგა. ვფიქრობ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის იმ აღსაზრდელებს, რომლებიც დღეს აქ არიან წარმოდგენილნი, ეს დღე დიდხანს ეხსომებათ. ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ ამ სახლის თითოეულ ბინადარს და მადლობას მოვახსენებ აქ დასაქმებულ თითოეულ ადამიანს. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" საზოგადოება "სამტრედიელის" თავმჯდომარემ, ტატა გოგუაძემ.

გაცილებით მეტხანს დავყავით სათნოების სახლში ვიდრე დაგეგმილი იყო. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, მადლი გაგიმრავლოთ დაგვემშვიდობა სტუმრებს თანამშრომელთა და სახლის ბინადართა სახელით მამა შიო (ჭაფოძე).

კიდევ ერთხელ რეალურად დაგვაყენა იმ გარდაუვალი ჭეშმარიტების წინაშე ამ ერთმა არაჩვეულებრივმა დღემ, რომ ჩვენ, ყველანი დავბერდებით! მომავალ შეხვედრამდე სათნო ქალბატონებო და ბატონებო.

მამოგრაფია, ექოსკოპია, სწრაფი ტესტები _ გაუფრთხილდი ჯანმრთელობას!

ამ სლოგანით სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ჯანმრთელობის ცენტრ "ჰერას" მობილური ჯგუფი, მოქალაქეებს უფასო გამოკვლევების ჩატარებაზე იწვევდა.

3-4 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სამტრედიის საზოგადოებრივი ცენტრის, ორგანიზაცია "ჰერას" და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, სამტრედიელი ქალბატონებისთვის უფასო სკრინინგ-აქცია ჩატარდა. იგი დილის 10 საათიდან 17 საათამდე მიმდინარეობდა.

საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლის უფასო სკრინინგი 150-მდე ქალბატონმა ჩაიტარა, საშვილოსნოს ყელის პაპტესტი 25-დან 60 წლამდე, ხოლო სარძევე ჯირკვლის მამოგრაფია, 40-დან 70 წლამდე ქალბატონებს შეეძლოთ ჩაეტარებინათ.

კლინიკა "ჰერა" 2009 წლიდან ჩართულია ეროვნულ სკრინინგ პროგრამაში, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს უფასოდ ჩაიტარონ მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

ქართულ-იაპონური პარტნიორობის შედეგად, "ჰერას" მამოგრაფიული გამოკვლევებისთვის 2018 წლის უახლესი ციფრული აპარატურა გადაეცა.

მობილური ჯგუფი მოსახლეობას დასავლეთ საქართველოში მოქმედი, ერთადერთი, სპეციალურად აღჭურვილი მანქანით ემსახურება.

ნინო ნანიტაშვილი

მადლობა ექიმს

ჩემდამი გამოჩენილი სითბოს, ყურადღებისათვის და ჩატარებული კვალიფიციური მკურნალობისათვის, გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო ცნობილ ექიმს, ქალბატონ მარინა სტურუას.

ღმერთმა უმრავლოს სამტრედიას, საქართველოს მისებრ პროფესიონალი მედიკოსები.

პატივისცემით, ალექსანდრე ბანძავა

მადლობა

მიმდინარე წლის 31 მარტს კლინიკა "მედიჰელფის" სამტრედიის ფილიალში ჩატარდა უფასო გამოკვლევები იმ პენსიონერებისათვის, ვისაც მხედველობის პრობლემები აქვთ. მათ შორის გახლდით მეც. წლებია მარჯვენა თვალში სერიოზული პრობლემები მაქვს რა თქმა უნდა, მხედველობასთან დაკავშირებით და დიაგნოზი ვერც ქუთაისში და ვერც თბილისში ვერ დამისვეს. თბილისიდან მოვლინებულმა ექიმებმა, ბატონებმა ალეკო ჩხარტიშვილმა და მირიან პარამელაშვილმა დიაგნოზი დამიდგინეს, დამინიშნეს სათანადო მკურნალობა და გარანტიაც მომცეს, რომ ჯანსაღ თვალში სრულად შემინარჩუნდება მხედველობა. ჩემი საყვარელი გაზეთის "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ალეკოს, ბატონ მირიანს და ვუსურვო მათ მადლიერ პაციენტთა სიუხვე და პირადი ბედნიერება.

ავთანდილ კაშია თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი

სამტრედიელები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში



დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელს, ბატონ ჯონი ნადირაძეს წონადი წვლილი აქვს შეტანილი გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალი ძალით მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ამ დღეებში რედაქციაში გვეწვია და საკმაოდ ვრცელი ნაშრომი გვაახლა. "... დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენში აუცილებლად გამოჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც სათანადო მასალებზე დაყრდნობით საფუძვლიანად გამოიკვლევენ ამ საკითხებს და დიდ წვლილს შეიტანენ ზოგადად სამტრედიის ისტორიის შესწავლის საქმეში". _ წერს ავტორი წერილის შესავალში, თუმცა, ჩვენი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი წერილი, რომელსაც ამაოდ არ ვუწოდეთ ნაშრომი, ბევრ სიახლეს აზიარებს მკითხველს, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე მომუშავე ახალგაზრდებსა და მეცნიერებს, ჟურნალისტებს, საერთოდ საზოგადოებას.

მადლობას ვუხდით უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებული მასალისათვის ბატონ ჯონი ნადირაძეს და მკითხველს წერილის სრულ ვარიანტს ვთავაზობთ.

<u>ლევან გაბეჩავა</u>

სამტრედიელებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტის დღევანდელ საზღვრებში მცხოვრებ მოსახლეობას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყოველთვის სერიოზული წვლილი შეჰქონდა. ეს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენში აუცილებლად გამოჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც სათანადო მასალებზე დაყრდნობით საფუძვლიანად გამოიკვლევენ ამ საკითხს და ამით დიდ წვლილს შეიტანენ ზოგადად სამტრედიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ამ საგაზეთო სტატიაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ საკითხის ამომწურავად გაშუქების არც მიზანი და არც შესაძლებლობა არ გვაქვს. ჩვენი მოკრძალებული ამოცანაა სამტრედიელებს შევახსენოთ ის ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 100 წლის წინ, 1919 წლის 14-17 თებერვალს, საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების (საყოველთაო, ფარული, თანაბარი, პირდაპირი კენჭისყრით) გზით პირველად აირჩია ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო _ დამფუძნებელი კრება.

ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, იგი იყო ლოგიკური დასასრული ქართველი ერის მრავალწლიანი ბრძოლისა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით გააქტიურდა პირველი მსოფლიო ომის შედეგად რუსეთის იმპერიაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.

1917 წლის თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში მონარქია დაამხო. ხელისუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, რომლის პარალელურად გაჩნდა ახალი სახელისუფლებო ორგანოები _ დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც პრაქტიკულად ფლობდნენ რეალურ ძალაუფლებას. ანალოგიური მდგომარეობა იყო ამიერკავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოსა და თბილისშიც, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრს წარმოადგენდა. აქ 18 მარტიდან ამოქმედდა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), მაგრამ რეალურ ძალაუფლებას თბილისისა და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ფლობდნენ, რომლის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი ნოე ჟორდანია იყო.

1917 წლის აპრილში თბილისში შეიქმნა ეროვნული ხელისუფლების ჩანასახი _ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ინტერპარტიულმა საბჭომ ამ ეტაპზე ეროვნული მოძრაობის კოორდინატორის ფუნქცია იკისრა. საბჭოს მუშაობას წარმართავდა აღმასრულებელი კომიტეტი აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით.

რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა ინტერპარტიული საბჭო, გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასულიყო. 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში დროებითი მთავრობა დაამხეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამიერკავკასიაში დროებითი მთავრობის ორგანომ _ "ოზაკომმა" მოქმედება შეწყვიტა. ცხადი იყო, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა შეეცდებოდა ამიერკავკასიაზე თავისი ხელისუფლების გავრცელებას. რადგანაც ამიერკავკასიაში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს (გარდა ბოლშევიკებისა) არ ჰქონდათ სურვილი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა. მათ გადაწყვიტეს, შეექმნათ ხელისუფლების სამხარეო ორგანო. აუცილებელი იყო ქართულ სახელისუფლებო ორგანოს შექმნაზე ფიქრიც. ამიტომ ინტერპარტიულმა საბჭომ 1917 წლის 3 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ, რათა შექმნილიყო გაცილებით უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც ექნებოდა ქართველი ერის სახელით გამოსვლის უფლება.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით მოწვეული იქნა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების, თბილისისა და ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, რუსეთის რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენლები. თათბირზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს _ ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის შესახებ, რომელიც ავტონომიურად გაუძღვებოდა სამხარეო მმართველობას რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, ე. ი. ამიერკავკასია ამ ეტაპზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა.

1917 წლის 19-22 ნოემბერს ინტერპარტიული საბჭოს 3 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისში მოწვეული იქნა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საფინანსო დაწესებულებების, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 324 დელეგატი გადამწყვეტი და 19 სათაობირო ხმით. ყრილობას ესწრებოდნენ უცხო სახელმწიფო და მეზობელ ერთა წარმომადგენლები, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, ქართული ეკლესიისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც თავდაპირველად 60 წევრისაგან შედგებოდა (ძირითადად პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები). შემდგომში მისი შემადგენლობა გაფართოვდა, როგორც პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების გაზრდით, ასევე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და ბოლოს წევრთა რაოდენობამ 112 შეადგინა. ეროვნული საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობდა კოალიციური პრინციპით დაკომპლექტებული 15 წევრისგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი. საბჭოსაც და აღმასრულებელ კომიტეტსაც სათავეში ედგა ნოე ჟორდანია (იგი 1918 წლის ივნისიდან შეცვალა აკაკი ჩხენკელმა, ხოლო 1918 წლის ოქტომბრიდან საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გახდა).

ეროვნული ყრილობის მოწვევას და ეროვნული საბჭოს არჩევას დიდი ისტორიული და ამავე დროს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ეროვნული საბჭოს შექმნით ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ქართული სახელისუფლებო ორგანო და რუსეთის იმპერიაში შემდგომში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს პოლიტიკური სპექტრი მოუმზადებელი არ შეხვედრია.

რუსეთსა და ამიერკავკასიაში კი მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. 1918 წლის 3 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის ახლად არჩეული დამფუძნებელი კრება გარეკეს და კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი ბოლშევიკურად განწყობილი ჯარის ნაწილებით სცადეს საქართველოს ოკუპაცია, თუმცა, მათი ეს ცდა მარცხით დამთავრდა. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თურქეთის საზღვარზე, რომელიც, თავის მხრივ, ამიერკავკასიის დაკავებას ცდილობდა. მათთან მოლაპარაკების საწარმოებლად აუცილებელი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. ქართველი მენშევიკების ინიციატივით ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 23 იანვარს თბილისში მოიწვია ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული დეპუტატების სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს _ ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1918 წლის 10 თებერვალს მოწვეული იქნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც 1918 წლის 22 აპრილს გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს _ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამიერკავკასიის სეიმის ამ დაგვიანებულმა ნაბიჯმა ვერ გაუმჯობესა არსებული მძიმე მდგომარეობა. სანამ სეიმი დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე მსჯელობდა, თურქებმა სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს და 1918 წლის მაისის დასაწყისში ამიერკავკასიის რესპუბლიკას უმძიმესი საზავო პირობები წამოუყენეს. საქმეს ართულებდა ისიც, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს განსხვავებული საგარეო ორიენტაცია ჰქონდათ. საქართველოს აქცენტი გერმანიაზე ჰქონდა აღებული, სომხეთს _ ინგლისზე, აზერბაიჯანს კი _ თურქეთზე. ასეთ პირობებში საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო გერმანიის წინადადება, რომ ისინი შეაჩერებდნენ თურქეთს და დაიცავდნენ საქართველოს, თუ საქართველო გამოცხადებდა დამოუკიდებლობას.

1918 წლის მაისის მეორე ნახევარში, მწვავე განხილვების შემდეგ, ეროვნული საბჭო მივიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილებამდე.

1918 წლის 26 მაისს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში (დღევანდელი ახალგაზრდობის სასახლე რუსთაველის პროსპექტზე) თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმმა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელმაც 5 საათსა და 10 წუთზე ერთხმად დაამტკიცა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბა საქართველოს დროებითი მთავრობა (დამფუძნებელი კრების მოწვევამდე), რომლის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი გახდა. 1918 წლის 24 ივნისს იგი შეცვალა ნოე ჟორდანიამ.

ჩვენთვის, სამტრედიელებისათვის, განსაკუთრებით საამაყოა ის, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები იყვნენ და შესაბამისად, ყველა ზემოთ აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სამტრედიელები: პეტრე გელეიშვილი, ფილიპე ლორია, კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი პაპავა, ნიკოლოზ ელიავა, სარდიონ თევზაძე და ნიკო ნიკოლაძე. მათი უშუალო მონაწილეობით იქნა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. 1918 წლის 26 მაისს მიღებულ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე" ეროვნული საბჭოს სხვა წევრებთან ერთად პეტრე გელეიშვილის, ნიკოლოზ ელიავასა და აკაკი პაპავას ხელმოწერაცაა. ნიკო ნიკოლაძე ამ დროს ქ. ფოთში იმყოფებოდა და აკაკი ჩხენკელთან და საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად გერმანელებთან და თურქებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. რაც შეეხება ფილიპე ლორიას, სარდიონ თევზაძეს და კონსტანტინე კანდელაკს, ჯერ ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რა მიზეზით არ არის მათი ხელმოწერა 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტზე.

სამტრედიელებს თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილ დროებით მთავრობაშიც. **კონსტანტინე კანდელაკი** თავდაპირველად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) იყო, ხოლო შემდგომში მინისტრი, **პეტრე გელეიშვილს** კი მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) პოსტი ეკავა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, 1919 წლის 14-17 თებერვალს, საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიული არჩევნების გზით პირველად აირჩია ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო _ დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრებაში სამტრედიელთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო სოლიდური იყო, ვიდრე ეროვნულ საბჭოში. დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ: **პეტრე გელეიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, პავლე წულაია, ილია კოპალეიშვილი, ერმალოზ კალაძე, ფილიპე ლორია, ნიკოლოზ ელიავა, სარდიონ თევზაძე და ნიკო ნიკოლაძე.** მათგან პირველი რვა, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წარმომადგენლები იყვნენ, ნიკო ნიკოლაძე კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა. დამფუძნებელი კრების მიერ ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შექმნილ მთავრობაში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტი სამტრედიელ **კონსტანტინე კანდელაკს** ეკავა და ამ თანამდებობაზე საქმიანობისას მან დიდი მუშაობა გასწია ქართული ეროვნული ფულის ნიშნებისა და ეროვნული ვალუტის შესაქმნელად. დამფუძნებელი კრების სხვადასხვა მუდმივი კომისიების შემადგენლობაში მუშაობდნენ პ. გელეიშვილი, პ. წულაია, ი. კოპალეიშვილი, ე. კალაძე, ნ. ელიავა, ს. თევზაძე და ფ. ლორია. ნიკო ნიკოლაძე კი დამფუძნებელი კრების შეკრებისას უკვე ევროპაში იმყოფებოდა საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ევროპის ქვეყნებთან მოსალაპარაკებლად. ამის გამო ნ. ნიკოლაძის ხელმოწერა არც დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე" არ არის. აღსანიშნავია, რომ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" ორი ვარიანტი არსებობს. პირველი, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მიიღო ეროვნულმა საბჭომ და შესაბამისად ხელს აწერენ ეროვნული საბჭოს წევრები და მეორე, რომელიც 1919 წლის 12 მარტს დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ და ხელს აწერენ დამფუძნებელი კრების წევრები. ძირითადი შინაარსი დამოუკიდებლობის აქტის ორივე ვარიანტისა ერთი და იგივეა. განსხვავებაა ის, რომ დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ ვარიანტს აქვს შემდეგი შესავალი ნაწილი სათაურით: "საქართველოს დამოუკიდებლობა". საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე თბილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს, რომლის შემდეგაც მოდის 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი და ბოლოს დამფუძნებელი კრების წევრთა ხელმოწერები. დამფუძნებელი კრების სამტრედიელი წევრებიდან ამ აქტს ხელს აწერენ: პეტრე გელეიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, პავლე წულაია, ნიკოლოზ ელიავა და ფილიპე ლორია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რატომ არ არის ამ აქტზე ნ. ნიკოლაძის ხელმოწერა, ხოლო თუ რატომ არ არის მასზე ილია კოპალეიშვილის, სარდიონ თევზაძის და ერმალოზ კალაძის ხელმოწერა, ამის დადგენა ჯერ ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტია, მას აგრეთვე აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათი. იგი პირველი ქართული კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტია, ქართული კონსტიტუციონალიზმის საფუძველი. ფაქტობრივად, ამ აქტში ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე ხორციელდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობა მთელი მისი არსებობის განმავლობაში, რადგანაც ქვეყნის კონსტიტუცია მიღებული იქნა 1921 წლის 21 თებერვალს, დამოუკიდებლობის დაკარგვამდე რამდენიმე დღით ადრე, ე. ი. პრაქტიკულად ამ კონსტიტუციას არც ერთი დღე არ უმუშავია, მაგრამ იგი უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია, იმ პერიოდისათვის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ძირითადი კანონი, რომელიც სრულად აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატია, ხელისუფლების დანაწილება, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ანუ ყველა იმ ფასეულობას, რასაც ეყრდნობა დღევანდელი ევროპა. აღსანიშნავია ისიც, რომ დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილ კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში სულ 15 წევრი იყო და აქედან ერთ-ერთი ჩვენი თა-

→



ახალ ხარისხზე ასწიე ერი!

ნათია ნაცვლიშვილი

2019 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდია 80 წლისა გახდებოდა... მაგრამ ისტორიის ბედუკულმართობამ 54 წლით განსაზღვრა მისი საამქვეყნო ასაკი. დღემდე უცნობია, როგორ გავარდა ტყვია ხიბულაში იმ ტრაგიკულ ზამთრის ღამეს, რატომ გავაგდეთ სამეგრელოს უსიერ ტყეში ქვეყნის დამოუკიდებლობის მესაძირკვლე, ეროვნული იდეის უპირველესი ქომაგი, ერის ჭირისუფალი და ეროვნული დამოუკიდებლობის მომტანი პრეზიდენტი?! რატომ ვესროლეთ ტყვია, რატომ დავამხეთ კანონიერი გზით ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალა? კრიმინალური სამხედრო გადატრიალება და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი რომ არა, საქართველოს ისტორია სხვაგვარად წარიმართებოდა. გამსახურდიას სახელი კი, წლების შემდეგაც რომ არ კარგავს ელვარებას, ქვეყნის მასშტაბით გამართულმა მისმა საიუბილეო ღონისძიებებმაც ცხადყო!

“უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი” _ თავის ერთ-ერთ ლექსში იწინასწარმეტყველა ღრმად მორწმუნე პრეზიდენტმა. თუმცა, ვეღარ აიცდინა! გამსახურდიას სწორედ ეს სიტყვები გაიხსენა ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის სცენიდან ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამოს ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენელმა, ჯონი ნადირაძემ. 80 წლითავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა. საღამოს წამყვანიც ისეთივე სუფთა იმიჯის მქონეა, როგორიც ზვიად გამსახურდიას სახელს ეკადრება!

უპირველესად, მოძღვარი წარსდგა სცენაზე, დეკანოზმა რომანოზმა (ნინუამ) ექსპრეზიდენტის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა და ზვიად გამსახურდიას უდიდეს ეროვნულ ღვაწლზე ისაუბრა. გულისტკივილით გაიხსენა, რომ ის ერთიანობა დავკარგეთ ქართველებმა, რამაც 9 აპრილის ტრაგედიის დროს გაგვაერთიანა, ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, მაგრამ არ გვეყო წინდახედულება, ერთმანეთს ტყვია ვესროლეთ, სისხლი დავღვარეთ...

დარბაზში გამსახურდიას ხმა გაისმა, ეკრანზე ძველი ჩანაწერები აჩვენეს, სადაც მან, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა! ჯონი ნადირაძის თქმით, ძალზე ბედნიერი იყო ამ დროს ყველა ქართველი, ეს წუთები კი განსაკუთრებულად ამაღელვებელი იმ ადამიანებისთვის იყო, ვინც ამ დიადი პროცესის შემოქმედნი თავადვე იყვნენ. უზენაესი საბჭოს 4 წევრი სამტრედიიდან იყო. ორი მათგანი _ ამირან კალაძე და თემურ ქორიძე დღეს ცოცხლები არ არან, ზვიად ძიძიგური პარლამენტის ვიცე-სპიკერია, ზურაბ სანიკიძე კი, სცენიდან მიესალმა თანაქალაქელებს.

“ ჩემთვის მეტად საპატიოა, ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამოზე ერთ-ერთი პირველი გამოვიდე და ვისაუბრო იმის შესახებ, რაც მან გააკეთა საქართველოსთვის. ზვიადმა შესძლო საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია, გამოეჩინა პოლიტიკური ალღო, შეერჩია დრო, ემოქმედა სწორად, რათა დამდგარიყო ის შედეგი, რაც დადგა 1991 წლის 9 აპრილს, როცა მან ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მას რომ არ ჰქონოდა დიდი კულტურა, განათლება, მსოფლმხედველობა, იმ დიდ ტვირთს ვერ ასწევდა, რასაც შეეჭიდა და დასძლია. დღევანდელი სახელმწიფოებრიობის სულის ჩამდგმელი არამარტო იდეურად, ფიზიკურად, არის ზვიად გამსახურდია. ვიხსენებ უზენაესი საბჭოს წევრებს, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა განცდა და ამპარტავნება, მე ამ გამარჯვებაში ლომის წვლილი მიმიძღვისო, ეთქვა. იმ გამარჯვებაში ლომის წვლილი ჰქონდა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას! დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ უძღოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, რაც შეეხება დარბაზში წამოჭრილ მოსაზრებას, აღინიშნებოდეს თუ არა 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა? გვაქვს ევროპის 30-მდე ქვეყნის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაგალითები, სადაც აღნიშნავენ როგორც სახელმწიფოებრიობის, ისე, დამოუკიდებლობის დღეს...”

ჯონი ნადირაძემ აუდიტორიას შეახსენა, როგორ აუმხედრდნენ 16 წლის მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იმპერიულ რეჟიმს, როგორ შექმნეს ორგანიზაცია “გორგასლიანი” და დიდი კონსტანტინეს იმიჯი დაეხმარათ იმაში, რომ ახალგაზრდებს მხოლოდ 6 თვიანი პატიმრობა აკმარეს. მათ არ შეუწყვეტიათ ეს ბრძოლა, ამ ბრძოლას შეუერთეს ქრისტიანიზმი, ზნეობრივი ბრძოლა გააჩაღეს, რაც 80 იანი წლების ბოლოს აბობოქრდა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებით დაგვირგვინდა. 40 წლის ზვიადმა უძღვნა 40 წლის მერაბს ლექსი “ძმას ქრისტესმიერს”. სწორედ ეს ლექსი წაიკითხა ჯონი ნადირაძემ იმ დიდი სიყვარულის დასტურად, რაც ორ ეროვნულ მოღვაწეს ერთმანეთთან აკავშირებდა. “ოდეს ტაძართა შედგა მწირველი და მიეფარა ღრუბლებს უფალი, შენ აღემართე, ვითა პირველი დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი...”

საღამო დაამშვენეს ქორეოგრაფიული ანსამბლების “იმერი” და “ლილე” მოცეკვავეებმა. შესანიშნავი საგალობლები შეასრულეს დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრებმა, ბრწყინვალედ წაიკითხეს პატრიოტული ლექსები მსახიობმა და თეატრის დირექტორმა ვეფხია ნადირაძემ და მსახიობმა გია სტურუამ.

_ გამარჯობა ქართველებო! ასე მიესალმა შეკრებილთ ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: “1987 წლიდან გააქტიურდა საქართველოში ეროვნული მოძრაობა, რომელიც იატაკქვეშეთიდან იმართებოდა. ვკითხულობდით დისიდენტურ ლიტერატურას, ხდებოდა სტუდენტების გაცნობიერება, ამ მოძრაობის პიკი და აპოგეა კი, 1989 წლის 9 აპრილი იყო, ეს იყო ქართული სულის არნახული გამოღვიძება. დაიღუპნენ ჩვენი გოგონები, დედები, ერში უდიდესი მუხტი და სიყვარული იყო, ამან მოიტანა 9 აპრილს დამოუკიდებლობა, ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გვამოძრავებდა. “კობა ძიძიგურმა გაიხსენა სამტრედიის ცნობილი რკინიგზის გადაკეტვის აქცია და ისაუბრა მის უდიდეს მნიშვნელობაზე, რადგან სწორედ ამ აქციამ განსაზღვრა საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ბედი. გამომსვლელმა გაიხსენა, როგორი უკომპრომისო იყო ზვიად გამსახურდიასთან სატელეფონო საუბრისას აქციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ზვიად ძიძიგური, რომელმაც, პრეზიდენტს უთხრა, რომ არნაირ ზეწოლას არ შეუშინდებოდა და აქციას არ შეწყვეტდა. გამომსვლელმა ასევე გაიხსენა ე.წ ბუნკერში პრეზიდენტის მომხრეების ყოფნის პერიოდი, როგორ იძლეოდა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებებს ღვთისმოსავი და მორწმუნე პრეზიდენტი მაშინაც კი, როცა, დაპირისპირებული ბანაკიდან ზარბაზნიდან ისროდნენ. მან ის სამტრედიელი თანამებრძოლები ახსენა, ვინც არ მიატოვა განსაცდელში მყოფი პრეზიდენტი და სიცოცხლის ფასად, ბოლომდე დაიცვა. ასეთები იმ დღეს დარბაზში მრავლად ისხდნენ. გაიხსენეს დაღუპული თანამოძმენი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ჯონი ნადირაძე გამოვიდა ინიციატივით, სამტრედიის ერთ-ერთ ქუჩას, რომელსაც არაფრის მთქმელი სახელი, რესპუბლიკის ქუჩა ჰქვია, ეწოდოს ზვიად გამსახურდიას სახელი. ასევე მისი ბიუსტი დაიდგეს ქალაქის ცენტრალურ ადგილას და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, რომელსაც თავის დროზე მეტსახელად “ზვიადისტების ბუდეს” უწოდებდნენ, მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი.

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია: “... ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ეს ხდება ზოგჯერ ძალიან ადრე, ზოგჯერ დროულად, ზოგჯერ ძალიან გვიან. ყველანი, თვით ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგენიც კი, ვერ უარყოფენ მის დამსახურებას ეროვნული სულის გამოღვიძებაში. როგორც დარბაზში უკვე ითქვა, ლომის წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობა აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, უდიდესი ეროვნული მუხტი გვქონდა 9 აპრილს. ჩვენი ისტორია, ძირითადად, გმირობისა და ღალატის მაგალითებისაგან შედგება, იმდენი გმირი გვყავს, ბევრ დიდ ერს რომ შეშურდება, მაგრამ, გვყავს მოღალატეებიც, ვერა და ვერ ვისწავლეთ საკუთარ შეცდომებზეც. იმედი მაქვს, ჩვენი მომავალი თაობა მეტად დაკვირვებული იქნება გადაწყვეტილებების მიღების დროს.”

საღამო ეროვნული მოძრაობის ჰიმნად ქცეული “შავლეგოთი” და უბერებელი მრავალჟამიერით დასრულდა.

←

ნამემამულე პავლე წულაია გახლდათ.

დასასრულს, სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში 1930-იანი წლების შემდეგ გაზრდილმა თაობებმა, პრაქტიკულად არაფერი ვიცოდით XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილი სამტრედიელების შესახებ. გამონაკლისი იყო მხოლოდ დიდი ნიკო ნიკოლაძე, რომლის უზარმაზარი ფიგურის დამალვა ვერც ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ მოახერხა, თუმცა ჩვენთვის ნაცნობ მის ბიოგრაფიაში არაფერი იყო ნათქვამი მისი ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრობაზე და სხვა ღვაწლზე, რომელიც მან გასწია 1917-1921 წლებში. ბევრი რამ ნიკო ნიკოლაძის ამ და სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობის შესახებ დღესაც მოსაძიებელი და შესასწავლია. ამის დასტურია, თუნდაც, ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, რუსუდან ნიკოლაძის, პირად არქივში ბოლო პერიოდში აღმოჩენილი მისი ინტერვიუ, რომელიც ჩაწერილია ნ. ნიკოლაძის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ. რუსუდან ნიკოლაძე იგონებს, რომ ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებიდან მეორე დღესვე თბილისის ყველა ეკლესიაში ერთდროულად ატყდა ზარების რეკვა და ყველგან უხდიდნენ პანიშვიდს. საოცარი გამოხმაურება იყო მთელი საქართველოს მასშტაბითაც. მთავრობა დიდხანს ყოყმანობდა, თუ სად და როგორ დაეკრძალათ ნიკო ნიკოლაძე. ჯერ შექმნეს დაკრძალვის სამთავრობო კომისია, რომელიც ორიოდე დღეში გააუქმეს და ნ. ნიკოლაძის დაკრძალვა მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს მიანდეს. საბოლოო გადაწყვეტილება დაკრძალვის წინა დღესაც არ იყო ცნობილი. მხოლოდ დაკრძალვის დღეს, 5 აპრილს გაირკვა, რომ ნიკო ნიკოლაძეს მთაწმინდაზე დაკრძალავდნენ. ამან კიდევ ერთი კურიოზი გამოიწვია. ნ. ნიკოლაძის დაკრძალვისათვის გამოყოფილი ადგილი მთლიანად კლდე აღმოჩნდა და საფლავის გაჭრას 36 საათი დასჭირდა. ამიტომ 5 აპრილს დაკრძალვის ოფიციალური ცერემონიალის დამთავრების შემდეგ მისი ნეშტი მამადავითის ეკლესიის სამრეკლოში დაასვენეს და ფაქტობრივად, 6 აპრილს დაკრძალეს ახლობლებისა და სამღვდელოების თანდასწრებით. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძეს წესი აუგო და მისი დაკრძალვისას მსახურებას ასრულებდა მამავალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე).

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დანარჩენ სამტრედიელ წევრებს, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ მათ ცხოვრებასაც მძიმე დაღი დაასვა. კონსტანტინე კანდელაკმა და ფილიპე ლორიამ საქართველოს ოკუპაციისთანავე დატოვეს ქვეყანა და ემიგრაციაში წავიდნენ. 1922 წელს საზღვარგარეთ წავიდა და ემიგრანტი გახდა აკაკი პაპავაც. კ. კანდელაკი საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გარდაიცვალა ლოზანაში 1958 წელს, დაკრძალულია პარიზთან ლევალის ქართველთა სავანეში. აკაკი პაპავა ჯერ გერმანიაში, 1949 წლიდან კი არგენტინაში მოღვაწეობდა, გარდაიცვალა ბუენოს აირესში 1964 წელს, დაკრძალულია პარიზთან ქართველთა სავანეში. ფილიპე ლორია ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობდა, გარდაიცვალა 1962 წელს პრაღაში, დაკრძალულია იქვე. სამივე მათგანმა მთელი ემიგრანტული ცხოვრება საქართველოზე ფიქრში და სამშობლოსთვის საჭირო საქმეების კეთებაში გაატარეს.

საქართველოში დარჩენილებსაც მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა. პეტრე გელეიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური პარტიის გაუქმების შემდეგ ოფიციალურადაც კი შეურიგდა ხელისუფლებას და სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდა, 1937 წელს დააპატიმრეს არალეგალური მენშევიკური კონტრრევოლუციური ცენტრის წევრობის ბრალდებით და 1938 წლის 17 მარტს დახვრიტეს.

პავლე წულაია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მშობლიურ სოფელ ხუნჯულაურში დაბრუნდა და ჯერ სოფლად საქმიანობდა, შემდეგ კი რკინიგზას დაუბრუნდა და წარმატებულ მუშადაც ითვლებოდა, მაგრამ 1937 წლის აგვისტოში ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაპატიმრეს, 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და 1943 წელს კემეროვის ოლქში პატიმრობაში გარდაიცვალა.

ილია კოპალეიშვილი 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მშობლიურ სოფელ ეწერში დაბრუნდა. იქვე ცხოვრობდა. იგი ჩამბული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად დააპატიმრეს და სამტრედიის გარეუბანში დახვრიტეს.

ერმალოზ კალაძე საქართველოს რუსეთის ჯარების მიერ ოკუპაციის შემდეგ წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაება, რისთვისაც 1921 წელსვე დააპატიმრეს. 1923 წელს მან გააკეთა განცხადება სოციალურ-დემოკრატიულ პარტიასთან (მენშევიკებთან) კავშირის გაწყვეტის შესახებ, რის საფუძველზედაც გაათავისუფლეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა და საქმიანობდა მშობლიურ სოფელ ოჭოფაში, სადაც გარდაიცვალა 1958 წელს, დაკრძალულია იქვე.

სარდიონ თევზაძე საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩამბული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, რის გამოც 1924 წლის 10 ივნისს დააპატიმრეს და სავარაუდოდ, 30 აგვისტოს თბილისში დახვრიტეს.

ნიკოლოზ ელიავა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ 1926 წელს დაბრუნდა და 1937 წლამდე სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდა. 1937 წლის 15 აპრილს დააპატიმრეს “კონტრრევოლუციური მენშევიკური ცენტრის” წევრობის ბრალდებით და 13 ივლისს დახვრიტეს.

მათი განვლილი ცხოვრების ერთი თვალის გავლებითაც კი ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრ სამტრდიელებს უაღრესად რთული და განსაცდელებით სავსე დროში მოუწიათ მოღვაწეობა. უამრავი საშინაო თუ საგარეო მიზეზების გამო ვერ მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თუმცა უდავოა, რომ მათ ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე.

ჯონი ნადირაძე

ჯონი ნადირაძემ მოსწავლეებს ეროვნული მოძრაობის შესახებ მოუთხრო

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან (დირექტორი ტატა გოგუაძე) არსებული ახალგაზრდული პარლამენტი, შეიძლება ითქვას, ყოველ აქტუალურ თარიღს ეხმაურება. ახალგაზრდებმა ახლახან დაამკვიდრეს სამტრედიის ღირსეულ ადამიანებთან შეხვედრის ფორმატი. ამ სტატუსით, ვეფხია ნადირაძის შემდეგ, ახალგაზრდების რიგით მეორე სტუმარი, ჯონი ნადირაძე იყო, სამტრედიის დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. რადგან 31 მარტს საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას 80 წელი შეუსრულდებოდა, ეროვნული მოძრაობის გამორჩეულმა სახემ, ჯონი ნადირაძემ საუბრის მთავარ თემად ეროვნული მოძრაობა და მისი უპირობო ლიდერი, ზვიად გამსახურდია აირჩია.

აღმოჩნდა, რომ დარბაზში მყოფ მოსწავლეებს საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონდათ ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას შემოქმედებასა და ტკივილიან ბიოგრაფიაზე. მათ უკვე წაეკითხათ მისი სამეცნიერო ნაშრომი" საქართველოს სულიერი მისია" და მათ მსჯელობაში ცოდნა და აკადემიზმი გამოსჭვიოდა. ეს კი, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარლამენტის კურატორის, ელიკო ანკვაბისა და პედაგოგ ნატა ჯიქიას დამსახურებაა.

ჯონი ნადირაძემ გაიხსენა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული პირველი დისიდენტური ორგანიზაცია "გორგასლიანი", დეტალურად მოუთხრო ბავშვებს, თუ როგორ ჩაღდებოდა კოლხურ კოშკში, დიდი კონსტანტინეს ოჯახში ეროვნული მოძრაობის ცეცხლი და როგორ განამზადა მწერალმა შვილი " დიდი იდეების მოლაშქრედ". ამ ბრძოლამ, სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ ვერ ჩაირა. სტუმარმა გაიხსენა საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი, 1989 წლის 9 აპრილი, ზვიადის ხელისუფლების წარმატებული ნაბიჯი _ 1991 წლის 9 აპრილს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადება და, მერე გამსახურდიას მთავრობის დამხობა, ძმათა შორის დაპირისპირება და პრეზიდენტის დევნილობაში ტანჯვით ცხოვრება, ბოლოს კი მისი ტრაგიკული აღსასრული და დღემდე ბურუსით მოცული მკვლელობის ისტორია. ჯონი ნადირაძემ ბევრი ილაპარაკა გამსახურდიაზე, როგორც უნიკალურ ესთეტზე, მწერალზე, მეცნიერზე, მთარგმნელზე, მეიგავესა და პოეტზე. შეხვედრამ საინტერესო, ინტერაქტიულ რეჟიმში 2 საათს გასტანა. მოსწავლეები კმაყოფილნი და აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

"მიდი, მაესტრო" _ ლამაზი კონცერტი სამტრედიელთათვის

ნათია ნაცვლიშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში 2 აპრილს გზაფხულის მუსიკალური საღამო გაიმართა, საღამოზე შესანიშნავმა მუსიკოსებმა მარინა ახობაძემ, ელგუჯა ხუნდაძემ და სოსო პაპავამ ცოცხალი შესრულებით გააჟღერეს მსოფლიო ჰიტები და სამტრედიელებს ლამაზი მუსიკალური დღე აჩუქეს. გაყინულ დარბაზს მსმენელი და მელომანი მაყურებელი არ აკლდა, ყოველი მუსიკალური კომპოზიციის შესრულებას უამრავი აპლოდისმენტი ახლდა თან.

შეხვედრის დაწყებამდე მარინა ახობაძემ მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მერის მოადგილე დავით ბახტაძეს, კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს და ამავე სამსახურის წარმომადგენელს, ეკა კიკაჩეიშვილს მადლობა გადაუხადა უპრეცენდენტო მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. მისივე თქმით, იდეა, ერთი კარგი კონცერტი ეჩუქებინათ თანაქალაქელებისათვის, ელგუჯა ხუნდაძისგან წამოვიდა, მერე მარინა ახობაძეს კოლეგამ, მეორე მუსიკალური სკოლის დირექტორმა, ნანა ქანთარიამ მოუწონა ეს აზრი და გააკრიტიკა კიდეც, ცნობილი პერსონაჟივით, აგული ერისთავივით რატომ დაიკარგეო. მუსიკალურ სამყაროს თავი მართლაც რომ არ დავავიწყო, აი, თქვენს წინაშე ვდგავარო, გაამხიარულა ჩვეული იუმორით მარინა ახობაძემ აუდიტორია. სცენაზე ქუთაისის კოლორიტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ხელოვნებათმცოდნე, ზურაბ ყურაშვილი მოიხმო და საღამოც დაიწყო. წამყვანმა ბევრი ისაუბრა სამტრედიაზე, როგორც ტალანტების სამჭედლოზე, აუდიტორიას შეახსენა კონცერტის მონაწილეთა ბიოგრაფიები და ასევე გააჟღერა, რომ იმ დღეს საფუძველი ჩაეყარა ახალ ბენდს "სამტრედიელი ვირტუოზები". მსოფლიო ჰიტებთან ერთად, გაჟღერდა მარინა ახობაძის ორი კომპოზიცია, მათ შორის ერთი ოთარ რამიშვილთან თანამშრომლობით შექმნილი. ასევე, იასონ ბელთაძესთან ერთად შეასრულა ნუგზარ ვაწაძის " იძინებს მზე". გაიხსენეს ნაადრევად ამქვეყნიდან წასული ხელოვნების სფეროს სამტრედიელი წარმომადგენლები, თამაზ დუნდუა, მურმან ბერულავა, პიროს თავაძე და სხვები... ნოდარ ზამთარაძის კომპოზიციას ტექსტი მარინა ახობაძემ მოარგო და სიმღერად ააჟღერა.

კონცერტის შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა, ელგუჯა ხუნდაძემ განუცხადა: " სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, ვოკალისტი ვარ, რამდენიმე თვის წინ დაიბადა აზრი, სამტრედიელებისთვის გვეჩუქებინა ერთი კარგი საღამო, ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს საღამო შედგა, ნიჭიერი პიანისტი გახლავთ ეს გოგონა, მარინას 25- 28 წელია ვიცნობ, მაგრამ შემოქმედებითად ჩვენი გზები აქამდე არ გადაკვეთილა, ვისურვებდი, ცოტა მეტი მუსიკოსი იყოს სამტრედიაში, სამწუხაროდ, ეს დღეს მე ვერ ვნახე. სოსო პაპავა ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია, აქვს მიღებული კლასიკური განათლება, გახლავთ ფილარმონიის სოლისტი, იშვიათად იკვეთება ჩვენი გზები. ვერ გეტყვით, რამდენად გაგრძელდება ჩვენი შემოქმედებითი ერთობა, კარგია, თუ იქნა ამის სურვილი ქალაქის ხელისუფლებიდან, პირადად მე ამისათვის მზად ვარ ყოველ დღე, კარგია, კონცერტები თუ გაგრძელდება, რასაკვირველია, მივესალმები."

მარინა ახობაძე: " ჩვენთვის, მუსიკოსებისათვის რეპერტუარის შერჩევა ძნელი არასოდეს არ არის, კონცერტის გამართვისას საორგანიზაციო საკითხები უფრო დამღლელია, მაგრამ ეს პრობლემა არ მიგრძვნია, მადლობა მინდა ვუთხრა კულტურის სამსახურს გვერდში დგომისათვის. დღეს თქვენ მოისმენეთ მსოფლიო ჰიტები, მათ შორის, სინატრას ჰიტი, დეივ რუბეკის "ხუთი მეოთხედი", ასევე, ასევე, ჩემი "ოთხი დრო" და მონატრება. ჩემთან ერთად იმღერა იასონ ბელთაძემ. ის მე აღმოვაჩინე, რატომღაც ჩვენს ქალაქში მოდაშია კარგ მომღერლებსა და მუსიკოსებზე ფეხის გადაბიჯება. ჩემი ოჯახური პირობების გამო ცოტა ხნით გავდექი კულისებში, მაგრამ ახლა უკვე დავბრუნდი. სამტრედიელები კარგად იცნობენ ელგუჯა ხუნდაძესა და სოსო პაპავას. ელგუჯა შესანიშნავი მუსიკოსია, ქალბატონი ლია ხუნწარიას, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ფოლკლორისტის მეუღლეა. სოსო ვირტუოზია, ჩემი მეგობარია ხშირად მეკითხებიან რატომ არ ვაკეთებ კონცერტებს? ხშირად ვაკეთებ საბავშვო კონცერტებს, მაგრამ კონცერტი რომ გამართო, გვერდით უნდა გედგას შენი რანგის მუსიკოსი. გითხარით, დაკვრა რთული არ არის პროფესიონალისთვის, აქ მთავარია, საორგანიზაციო საკითხები."

კონცერტის შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა, მელომანმა ბეჟან გოგიამ გვითხრა:

" ქალბატონ მარინას ვიცნობ ჯერ კიდევ ანსამბლ "ცისარტყელაში" ჩემი ყოფნის დროიდან. მახსოვს, მოვიდა ჩვენთან პატარა გოგონა, რომელსაც სიგიჟემდე აინტერესებდა ჩვენი შემოქმედება, მითხრეს, რომ ეს გოგონა შესანიშნავად უკრავდა კლავიშზე, მას მივუთითე ველტმაისტერისკენ, მანაც, თვალდახუჭულმა "გაიარ გამოიარა" სინთეზატორზე. დავრწმუნდი, მას ძალიან დიდი მომავალი ჰქონდა ამ საქმეში, ის არის დაუღალავი, გამოირჩევა შესანიშნავი სმენით და მუსიკის აღქმის უნარით. მან რამდენიმე წლის წინ ძალიან დიდი დახმარება გამიწია როკ-ფოლკჯგუფ "ლადის" რეპერტუარის შერჩევასა და მომზადებაში. მის გარეშე სამტრედია ვერ წარმომოიდგენია, ყველა დროის საუკეთესო მუსიკოსია, ქალ მუსიკოსებში პირველია. ამ კონცერტმა აჩვენა, რომ ქალბატონი მარინა შესანიშნავ ფორმაშია, განსაკუთრებულად გრძნობს თითოეულ ბგერას, ემორჩილება თითები, განსაცვიფრებელ აკორდებს იღებს და თავისი "სიგიჟით" კვლავ გვაოცებს. ძალიან კარგად ვიცნობ საქსაფონისტ სოსო პაპავას, რომელმაც კიდევ ერთხელ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და არ გავარჩევდი იმ დიდი მუსიკოსებისაგან, ამ ინსტრუმენტზე კომპოზიციების უბადლო შემსრულებლები რომ იყვნენ. ელგუჯა ხუნდაძეს აქამდე არ ვიცნობდი, მისმა უბადლო შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ის არის დიდი პროფესიონალი, გამოგიტყდებით და არც მინახავს ლაივში აკორდეონზე დაკვრის მისნაირი ოსტატი. მოვიხიბლე მისით, მიხარია, რომ იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრია, რაც შეეხება ახალდაბადებულ ბენდს სახელად "სამტრედიელი ვირტუოზები" მართლაც ამართლებს სახელწოდებას. ვიმედოვნებ, ისინი ძალიან ბევრჯერ გაგვახარებენ და დაგვატკბობენ თავიანთი შემოქმედებით."

კონცერტის დაწყებამდე მარინა ახობაძის შემოქმედების რამდენიმე თაყვანისმცემელი ჩავწერეთ.

ეკა ჯამბურია, მუსიკის პედაგოგი: " საუკეთესო კონცერტს, საუკეთესო შესრულებას ველოდები, მარინა არის გენიოსი, ჩემთვის მეტრია მუსიკაში უბადლოა მისი გემოვნება და შესრულება, მას ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩემი შვილის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში და ზოგადად დიდი მუსიკოსია, ამ კონცერტს დიდი სიხარულით ველოდი, თანაც, მასთან ერთად სცენაზე დგანან ღირსეული შემოქმედნი"

ნანა ქავთარია: " მარინასთვის და მისნაირი მუსიკოსებისათვის ჩვენი ქალაქი ძალიან პატარაა, ჩვენ მისნაირი მუსიკოსებით არ ვართ განებივრებულნი, მაქვს მოლოდინი, ეს იქნება ბრწყინვალე კონცერტი, რადგან მარინას გვერდით შესანიშნავი მუსიკოსები დგანან. ცოტა ტრაბახითაც ვიტყვი, მას მე ვურჩიე, გაემართა ეს კონცერტი, სამტრედიამ უნდა ნახოს, რომ ყავს მას ეს უნიკალური მუსიკოსი, სამტრედია პატარაა მისნაირი მუსიკოსებისათვის."

ნონა ჭახნაკია, კომპოზიტორი:" ველოდები დიდ სიამოვნებას, მარინა ნიჭიერი ადამიანია, მჯერა სასიამოვნო საღამო იქნება".

კონცერტის შემდეგ სცენაზე ავიდა ქალაქის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მუსიკოსებს შესანიშნავი კონცერტისათვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

ტატა გოგუაძე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი: " უდიდესი სიამოვნება მივიღე, ძალიან კმაყოფილი ვარ, ხშირად უნდა ჩატარდეს ასეთი საღამოები."

ვალერიანე ფოცხვერია: "მარინა არის შესანიშნავი შემსრულებელი და ადამიანი, სასიამოვნოა, რომ დაიბადა ახალი ბენდი, მინდა მივულოცო სამტრედიელებს ახალი ბენდის დაარსება, წარმატებები ამ შესანიშნავ მუსიკოსებს! "

კობა ძიძიგური, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: "შესანიშნავი საღამო იყო, განტვირთვა იყო მშვენიერი, ბევრი მივიწყებული მელოდია შეგვახსენეს მუსიკოსებმა, ძალიან კარგია და ვისურვებ, მრავლად ჩატარდეს მსგავსი საღამოები."

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: " აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი საღამოთი, შესანიშნავი კონცერტი შემოგვთავაზეს შემსრულებლებმა, დიდი მადლობა ამისთვის მათ. ქალბატონ მარინასთან ძალიან ახლოს ვარ, დიდ პატივს ვცემ, ენერგიული, ერუდირებული და საქმის პროფესიონალია, წარმატებებს ვუსურვებ შემოქმედებით საქმიანობაში".

გოგი ლეჟავა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: " მარინას შემოქმედებას ათეული წელია ვიცნობ, ის პროფესიონალი მუსიკოსია, მისი კონცერტი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, უდიდესი სიამოვნება მივიღე, მადლობა კონცერტის მონაწილეთ".

ბეჟან გეგეშიძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: " შედგა საუკეთესო კონცერტი, კლასიკური და ჯაზური კომპოზიციების ნაზავი ძალიან კარგი იყო, წარმატებას ვუსურვებ ამ ადამიანებს".

ლევან თავაძე, მელომანი: "მარინას კარგად ვიცნობ, დღევანდელი კონცერტი მართლაც საუკეთესო იყო".

ტოლების ტელეფისიდან თავისუფლების ქანდაკებამდე

ნათია ნაცვლიშვილი

ტოლების საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი, ლიკა დევაძე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე აპირებს ჩაბარებას. მომავალი დიპლომატი ჩვენი ინტერესის სფეროში მიღწეული წარმატების გამო მოექცა _ მან გაიმარჯვა გაცვლით პროგრამაში და მოიპოვა ამერიკულ სკოლაში სწავლების ერთწლიანი დაფინანსება.

ლიკა დევაძე: "ამ ზაფხულს glow ბანაკის მონაწილე ვიყავი, სადაც გავიგე flex-ის პროგრამის შესახებ, ბანაკის რამდენიმე ლიდერი იყო ამ პროგრამის მონაწილე. როცა ყვებოდნენ მის შესახებ, აღფრთოვანებით ვუსმენდი და გული მწყდებოდა, რომ მე მანამდე პროგრამის თაობაზე არაფერი მსმენოდა. ჩემი სკოლის დირექტორმა, მარინა ხუჭუამაც მირჩია ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება. ამისათვის 13 ოქტომბერს წავედი ქუთაისში პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად. პირველი ტური ინგლისური ენის ცოდნას ამოწმებდა, ეს ტური ადვილად გადავლახე. მეორე ტურში გვევალებოდა ინგლისურ ენაზე 40 წუთში სამი ესეს დაწერა. ეს ნაშრომები გადაიგზავნა ამერიკაში და პასუხები ერთ თვეში მოგვივიდა. ამის შემდეგ წარიმართა მესამე, ურთულესი ტური, რომელიც მოიცავდა ამ მეტად პრესტიჟული პროგრამის წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ჯგუფურ სამუშაოს, ორი ესეს დაწერას და ძალიან დიდი აპლიკაციის შევსებას.

საქართველოს მასშტაბით პირველ ტურში დაახლოებით 3500 -მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მესამე ტურში მონაწილეთა რაოდენობა ექვსასზე დავიდა, მესამე ტურის შედეგების პასუხებს დეკემბრიდან 27 მარტამდე ველოდი. მოულოდნელად, სკოლაში ვარ და უცხო ნომერი დაფიქსირდა, რეაქცია არ მქონია, მითხრეს ლიკა დევაძე მინდოდაო. იმდენად ბევრ პროექტში ვარ დარეგისტრირებული, რატომღაც ამ მომენტში "ფლექსი" არც გამხსენებია. ამერიკული საბჭოებიდან გირეკავთ, თქვენ პროგრამის ფინალისტი გახდითო, მითხრეს. ამ დროს, როგორც მეგობრები იხსენებენ, თურმე ფერი დავკარგე, ტელეფონი გამივარდა და სიხარულისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. მასწავლებლები მილოცავდნენ, მათ მოსწავლეებიც შემოუერთდნენ. მე სიხარულის ცრემლები მომდიოდა, ვარ ძალიან ბედნიერი. ამას წინათ შემთხვევით წავაწყდი მეოთხე კლასში სწავლის დროს ჩემს ჩანაწერს, სადაც ვამბობ, რომ ჩემი საოცნებო ქვეყანა ამერიკაა. ოცნებაც ამიხდა!"

აგვისტოში ან სექტემბრის დასაწყისში პროექტში გამარჯვებული ლიკა ერთი სასწავლო წლით მიემგზავრება ამერიკაში, ჯერ შტატი და ქალაქი გარკვეული არ არის. იცხოვრებს ჩვეულებრივ ოჯახში. ლიკას ყველაზე მეტად ეჩქარება, როდის წარადგენს ჩვენს ქვეყანას ამერიკელი თანატოლების წინაშე და ეტყვის, რომ საქართველო, მათთვის ესოდენ ხშირად ხსენებული ჯორჯია, უდიდესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანაა.

"მხოლოდ ერთი პროცენტით მჯეროდა, რომ პროგრამაში გავიმარჯვებდი, დღეს უკვე თამამად ვიტყვი, მჯერა, რომ ოცნებები ხდება! არ შეგეშინდეთ, იბრძოლეთ თქვენი მიზნების განსახორციელებლად, არ შეგეშინდეთ წინაღობების!"_ ასეთია ლიკას გზავნილი თანატოლებისადმი.

"მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ჩემი სკოლის პედაგოგებს ჩემდამი გამოჩენილი თანადგომისა და მხარდაჭერის გამო, ყველა მარწმუნებდა ჩემს გამარჯვებაში და მიმყარებდა საკუთარი თავის რწმენას. ასევე მადლობას ვეუბნები ინგლისური ენის პედაგოგებს, ნაზი გოგავასა და ლიკა თელიას. ჩემს ყველა თანაკლასელს და მეგობარს, რომლებიც ყოველთვის მარწმუნებენ ჩემს შესაძლებლობებში და მამხნევებენ. ასევე იმ უამრავ ფეისბუკმეგობარს, რომლებმაც თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩემთვის. ასევე მადლობა მშობლებს, მათი ძალისხმევის გარეშე ვერაფერს შევძლებდი, მამა ჩვენს გამო უცხოეთშია წასული, დედამ ჩვენ შემოგვწირა თავი, ყველაზე დიდი მადლობა ბებოს, ლილი დევაძეს, რომელმაც ყველაზე ემოციურად განიცადა ჩემი ეს გამარჯვება. ასევე თქვენს გაზეთს, რომელიც უკვე მეორედ აშუქებს ჩემს წარმატებას." _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

როგორს წაიკითხავდა "სამტრედიის მაცნეს" მომავალი თაობა

თეა ბაბუნაშვილი

იგი პარლამენტარია. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პარლამენტის წევრია, მაგრამ ასე ბევრი წარმატება იწყება. მით უმეტეს, რომ იმ გამორჩეულ თანატოლებში, ამ პარლამენტის წევრები რომ არიან, ერთ-ერთი გამორჩეულია. მას შიო გეგეშიძე ჰქვია, 12 წლისაა და სკოლა "ცოდნაში" სწავლობს. მისი და "სამტრედიის მაცნეს" ნაცნობობა, 21 მარტს დაიწყო. ქართული ჟურნალისტიკის დღეს, პროფესიულ დღესასწაულს აღვნიშნავდით სამტრედიელი ჟურნალისტები. შეხვედრას მკითხველებთან განსაკუთრებულად საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. ღონისძიების ფორმატი, ჩვენს რესპონდენტის და სტუმრად მოსული მკითხველის ჟურნალისტის რანგში ყოფნას გულისხმობდა. რჩევებს გვაძლევდნენ და წინადადებებს გვიყენებდნენ. სხვა თანატოლებთან ერთად იგი დაინტერესებული აღმოჩნდა ჩვენი გაზეთით, რამაც ძალიან გაგვახარა. მის წინადადებაზე საუბარი, შემდეგ გაზეთის რედაქციაშიც გავაგრძელეთ. გვირჩია, საინტერესო იქნება თქვენს გაზეთში ისტორიული ხასიათის მასალები დაიბეჭდოსო. როგორც აღმოჩნდა, მას ძალიან უყვარს და დაინტერესებულია ისტორიით. ამიტომ სურს ჩვენს გაზეთშიც წაიკითხოს, თუნდაც მოკლე ნარკვევები ამ კუთხით. აგრეთვე, მისთვის სასურველი იქნება, თუ სამტრედიის ისტორიის ფურცლებსაც გავაცოცხლებთ "სამტრედიის მაცნეს" გვერდებზე.

მამათა და შვილთა ბრძოლის უწყვეტი პროცესი, შვილების თაობაზე ეჭვის თვალით შეხედვას, ბუნებრივია, ვერ მოიშლის. შიო და მისი მეგობრების გაცნობის შემდეგ, ყველაზე მეტად სკეპტიკოსებს მამების თაობიდან, გაუქარწყლდებათ მოსაზრება, რომ მომავალი თაობა წიგნს დაშორდა და კითხვა არ უყვარს. ერთ მაგალითად, შიო გეგეშიძე შეგვიძლია მივიჩნიოთ. კომპიუტერიდან ამოღებული მასალა ვერასდროს მივა წიგნის კითხვით გამოწვეულ სიამოვნებასთანო, ამბობს. მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად, ცხადია, ისტორიულ წიგნებსაც კითხულობს ისტორიაზე შეყვარებული ბიჭი.

იურისტობას აპირებს შიო გეგეშიძე. დღეს, როცა ქვეყანაში ამ პროფესიისადმი უფრო პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ირგვლივ ბევრს და ხმამაღლა საუბრობენ, განსაკუთრებით დამაფიქრებელია მომავალი თაობის შეხედულება. ვიმედოვნებთ, გაამართლებს ჩვენს იმედებს, კეთილსინდისიერი იქნება იმ პროფესიაში, ადამიანების ბედის გადაწყვეტა პირდაპირ თუ ირიბად რომ ავალიათ და კიდევ, უერთგულებს მისი მშობლიური სამტრედიის დიდი ისტორიის მქონე ბეჭდვურ ორგანოს, რომლის უფრო აქტიური მკითხველიც გახდება ამიერიდან.

"სამტრედიის მაცნეს" უხარია შიო და მისნაირი ახალგაზრდების გაცნობა. მომავალი თანამშრომლობის იმედით დავემშვიდობეთ მას და სამომავლოდ გაზეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა შევთავაზეთ. ჩვენის მხრიდან კი, მისი და მისი მეგობრების წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინების პირობას ვდებთ.

"შაპიტო" სამტრედიისთვის

ის ერთი დღე, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ ბავშვებს რომ გაულამაზა, როგორც გვითხრეს, დიდხანს ეხსომებათ. მუნიციპალიტეტის მერმა საცირკო სანახაობაზე დღის ცენტრ "ლამპარის" აღსაზრდელები, მეხანძრე-მაშველთა შვილები, მე-15 სკოლა-პანსიონის აღსაზრდელები, მრავალშვილიანი ოჯახების შვილები მიიწვია და საცირკო წარმოდგენას მათთან ერთად უყურა.

სამტრედიაში ჩამოსული ცირკი "შაპიტო", უკრაინა-რუსეთ-საქართველოს კოლაბორაციას რომ წარმოადგენდა, პირველად არ ყოფილა ჩვენს ქალაქში. ბოლო რამდენიმე წელია, ტრადიციად იქცა სამტრედიაში მისი სტუმრობა გაზაფხულის პირველივე თვეში. მერის საჩუქარიც ტრადიციული გახდა, "შაპიტოს" ყველა ჩამოსვლაზე, იგი პატარებს მათთვის საინტერესო და საყვარელ საჩუქარს უკეთებს. "საკუთარი ბავშვობა ყველას გვახსოვს, და გვახსოვს ისიც, თუ როგორ გვიყვარდა საცირკო წარმოდგენები. ჩვენც, მუნიციპალიტეტის მერია, ვცდილობთ იმ ოჯახების შვილებს, ვისაც ნაკლები ფინანსური საშუალება აქვთ ისინი ამგვარი სანახაობებით გაანებივრონ, გავულამაზოთ ბავშვობის დღეები. ამჯერადაც საცირკო სანახაობაზე მოვიწვიეთ ისინი, ბილეთები შევიძინეთ მათთვის. სამტრედიელებს კარგად მოეხსენებათ, რომ გაზაფხულის დასაწყისში "შაპიტოს" სტუმრობა ტრადიციად ექცა ჩვენს ქალაქს. თუკი კიდევ სხვა რამე გასართობი გამოჩნდება, მზად ვართ აღნიშნულ კონტინგენტს ისიც დავუფინანსოთ." _ აღნიშნა ვალერი ფოცხვერიამ.

"შაპიტოს" წარმოდგენები რამდენიმე დღე გაგრძელდა სამტრედიაში.

თეა ბაბუნაშვილი

გალერეა

გილოცავთ!

მცირეოდენი შესვენების შემდეგ, რუბრიკა გალერეას სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი კაცი, ექიმი ფიზიოთერაპევტი, ბატონი ზურაბ კოხრეიძე სტუმრობს.

მან იანეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შესაბამისი განათლება მიიღო და, აგერ უკვე 44 წელია საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" ფიზიოთერაპევტია.

თამამად შეიძლება მისი შრომითი სტაჟის გათვალისწინებით, მემატიანე ვუწოდოთ ბატონ ზურაბს.

88 მწვრთნელთან მოუწია ამ წლების მანძილზე მუშაობა ჩვენს რესპონდენტს.

ანატოლი ნორაკიძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძიძუაშვილი... და სხვები, ის პროფესიონალები გახლავან, სხვადასხვა წლებში სამტრედიელ ფეხბურთელთა წარმატებებში ლომის წილი რომ მიუძღვით.

სიამოვნებით იგონებს ბატონი ზურაბი იმ წლებს, როცა ფეხბურთს ბატონები: ბადრი ქორიძე, ტარიელ დვალიშვილი, დევის დარჯანია, გივი ბაბუნიძე, ძმები თვალაბეიშვილები და უფროსი თაობის სხვა ღირსეული ფეხბურთელები თამაშობდნენ. იხსენებს მაყურებლითა და გულშემატკივრით გადაჭედილ სტადიონს და აღფრთოვანებას არ ფარავს იმის გამო, რომ ფეხბურთის, სპორტის ამ ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი თამაშისადმი სიყვარული არც დღეს განელებია საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

"უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად ვიბრძვით, ამჟამად ხელმძღვანელობა, ფეხბურთელები, მწვრთნელები ყველაფერს აკეთებენ საამისოდ _ გვითხრა ბატონმა ზურაბმა და დასძინა, რომ თამაშისა თუ წვრთნისას მიღებული ტრავმების სამკურნალოდ, კლუბი შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებითაა აღჭურვილი. სამტრედიას შესანიშნავი საფეხბურთო ტრადიცია აქვს და იგი არ უნდა დაიკარგოს". _ მიიჩნევს იგი.

ბევრი თბილი სიტყვა თქვა ბატონი ზურაბის მისამართით ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ, ბატონმა ტარიელ დვალიშვილმა.

როგორც ყოველი ადამიანისათვის, ბატონი ზურაბისთვისაც წმინდათაწმინდაა ოჯახი. მეულლე, შვილი და შვილიშვილები ულამაზებენ მას სიჭარმაგის წლებს.

იუბილარია ამ დღეებში ჩვენი რესპონდენტი, 65 წელი შეუსრულდა მას.

ვულოცავთ ბატონ ზურაბს ღირსეულ იუბილეს, წელთა სიმრავლეს, ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

დაე კვლავ ხშირად გვეზეიმოს სამტრედიელი ფეხბურთელების სპორტული მიღწევები და უხვი გოლები.

ლევან გაბეჩავა

ცვლილებები ეკლესიაში თემაზე _ შეგრძნებები

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მეოთხე ბაგა-ბაღის აღსაზრდელების საინტერესო და შთამბეჭდავი აქტივობები ტრადიციად იქცა. ამჯერად 4 - 5 წლიანთა ჯგუფის აქტივობას დავესწარით. პედაგოგ ქეთი ლომიას აღსაზრდელებმა წარმოადგინეს აქტივობა თემაზე "შეგრძნებები". პატარები ორიენტირებულნი იყვნენ მხედველობის, სმენის და გრძნობით ორგანოებზე. საილუსტრაციოდ გამოიტანეს შესაბამისი მასალები, იციან პატარებმა თვალის, ყურის, ცხვირის შესახებ, ასევე იციან, რომ უსინათლოთათვის არსებობს ბრაილის შრიფტი. პედაგოგებმა სპექტაკლად უქციეს პატარებს ეს საინტერესო დღე, თამაშთამაშით უამრავი ინფორმაცია გაიგეს, ბევრი საინტერესო რამ შეიმეცნეს, მაგალითად, ის, რომ მომწამვლელი სითხე არ უნდა მივიტანოთ ცხვირთან, რომ სხეულის ნაწილებმა ერთმანეთთან არ უნდა იჩხუბონ. შიგადაშიგ თემატურად ცეკვა და სიმღერაც ჩართეს, არც თავად მოიწყინეს და არც სხვებიც მოაწყინეს. პედაგოგის ხელით პირთან მიტანილი სხვადასხვა საკვები დააგემოვნეს და გამოიცნეს თვალდახუჭულებმა. შეგრძნებების თემაზე ბაღის მმართველის, ნანა დუნდუას მიერ დაწერილ ლექსზე შექმნილი ლამაზი სიმღერაც იმღერეს.

მუსიკის პედაგოგმა, ლელა გოლიაძემ რამდენიმე სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაუკრა, პატარებმა ყოველი მათგანი გამოიცნეს, აღმზრდელის თანაშემწე მელანო ტორონჯაძე და ირმა დვალიშვილიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ღონისძიებაში. ერთ-ერთი მსახიობის როლი მელანო ტორონჯაძემ მოირგო. სახალისო იყო მშობელთა ჩართულობაც, მშობლებმა სხეულის ცალკეული ორგანოები ნახატებიდან ამოჭრეს და ადამიანის სახის გამომეტყველება ააწყვეს. კრეატიული მეთოდისტების და აღმზრდელების გადაწყვეტილებით, დღის აქტივობაში ნანა დუნდუას მანქანის "წამწამებიც" მოხვდა. ბავშვებმა იციან, რომ ჩვენს ქალაქში მოსიარულე "წამწამებიანი მანქანა" მათი ბაღის მმართველისაა.

აქტივობა ენერგიულმა და შემოქმედებითმა ქალბატონმა, ნანა დუნდუამ მის მიერვე წაკითხული ლამაზი ლექსითაც დაამშვენა და საინტერესო დღის შემოქმედ მეთოდისტებს, პედაგოგებსა და ბავშვებს უდიდესი მადლობა გადაუხადა.

ბაგა-ბაღის მეთოდისტი, მარინა ქოჩოვი: "მადლობა ძვირფას სტუმრებს, ვფიქრობთ, ბავშვებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს დღევანდელი თემა. იგი მრავალი პასაჟით იყო დატვირთული, აქ გამოვლინდა ბავშვების საუკეთესო მეტყველება, წიგნიერება, ხელოვნების სიყვარული, მადლობა მშობლებო, თქვენი ჩართულობა ყოველთვის აქტივობის შედეგს ამაღლებს."

მარინა ბაღდავაძე: "მადლობა ამ საინტერესო წარმოდგენისათვის, ამ ბაგა-ბაღს ჰყავს უნიჭიერესი პედ-კოლექტივი, მადლობა პედაგოგებს, ქალბატონი ნანა ყველა პირობას ქმნის ამ აღსაზრდელებისთვის. მადლობა გაერთიანების დირექტორის მოადგილეს, მარინა შენგელიას, მადლობა ლოგოპედ თამუნა ძნელაძეს".

მარინა შენგელია: "მივესალმები თქვენს შესანიშნავ პედაგოგიურ კოლექტივს. პედაგოგების შემოქმედებითობა ბევრ წარმატებას განსაზღვრავს. მადლობა მშობლებო, მეთოდისტებო, დღევანდელი ეს საუკეთესო აქტივობა გუნდური მუშაობის შედეგია. ეს არ არის ღია კარის დღე, ასეთი მუშაობა აქ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, მართლაც უდიდესია თქვენი დამსახურება და ღვაწლი."

აქტივობას დაესწრნენ ეწრის, ბაშის, ჯიხაიშის პირველი, მელაურის და პირველი ბაგა-ბაღების აღმზრდელები. ეწრის მუსიკის პედაგოგმა, მაკა ხურციძემ მაღალი შეფასება მისცა წარმოდგენილ აქტივობას და წარმატებები უსურვა კოლეგებსა და ბავშვებს.

საპარიკმახერო

ასეთი წარწერა ამშვენებს რკინიგზის სამტრედიის ბაქანზე არსებულ პატარა ჯიხურს, რომლის მასპინძელიც ისევ და ისევ ჩვენმა უფროსმა მეგობარმა, ბატონმა რევაზ შამათავამ გაგვაცნო.

ჯერ სკოლა დაამთავრა, მერე პარიკმახერის პროფესიას დაეუფლა და აგერ უკვე ექვსი ათეული წელია, ბატონი მიშა ჯულაყიძე სამტრედიელ რკინიგზელებს (და არა მარტო მათ) ემსახურება ჩვეული სიყვარულითა და მონდომებით.

იყო დრო, როცა ვაგზალსა და მის მიმდებარედ რამდენიმე პარიკმახერი მუშაობდა და მაინც რიგი იყო თითოეულთან.

სხვა დრო, სხვა ყოფა იყო მაშინ.

საით არ მიდიოდა, საიდან არ მოდიოდა მატარებელი სამტრედიაში, ახლა კი...

თუმცა, ერთგული კლიენტები, ძველი ნაცნობები, ის ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან ბატონი მიშას ფასი, მაინც სტუმრობენ საპარიკმახეროს და მარჯვენაკურთხეული დალაქიც მზადაა, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ გულნატკენი არავინ გაუშვას. წუნს ვერავინ მისცემს მის ხელობას.

ტრადიციული ქართული ოჯახის წინამძღოლია ბატონი მიშა ჯულაყიძე. ძნელად ვინმემ დაიჯეროს, რომ იგი 80 წლისაა.

ოთხი შვილისა და ხუთი შვილიშვილის მამა და ბაბუა ძველებური შემართებით, ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს და უკეთესი ხვალის იმედი არ ტოვებს.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს ვუსურვებთ მტრედადნათლული ჩვენი კოპწია ქალაქის ქუჩებში კრძალვით მოარულ ჭარმაგ, ღვაწლმოსილ დალაქ, ბატონ მიშა ჯულაყიძეს.

ლევან გაბეჩავა

ქართული ჟურნალისტიკის ბერმუხა

ვხარობ და მეამაყება მის უამრავ ტიტულს წერილის სათაურად გამოტანილი, მისთვის ზედგამოჭრილი ტიტული, პირველად "მე რომ მივანიჭე" 91 წლის ჩვენს უფროს კოლეგასა და მეგობარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირების წევრს, სამტრედიის უფროსი თაობის ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, პოეტური სულის კაცს, ბატონ კორნელი ივანეს ძე ჩიხლაძეს.

20 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგს, რომელიც აჭარის მაღალმთიან სოფელში სკოლას ედგა სათავეში, აჭარლებმა ამაგი ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებლის წოდებით აღუნუსხეს. მომდევნო წლებში, (1969 წლიდან 1999 წლამდე) ბატონი კორნელი გაზეთ "წინსვლის", შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში მოღვაწეობდა და წონადი წვლილი შეჰქონდა რკინიგზელთა ქალაქის ისტორიის შექმნაში.

ბატონი კორნელის ღრმაშინაარსიან წერილებს, არგუმენტირებული ფაქტებით გაჯერებულ პუბლიკაციებს ყოველთვის ინტერესით ელოდა გემოვნებიანი მკითხველი. არაერთი რუბრიკის ავტორად მოგვევლენია იგი ამ წლების მანძილზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია "მზეჭაბუკი". ყურადღებამისაქცევია და დღესაც მოწონებას იმსახურებენ ბატონი კორნელისეული ექსპრომტები რაიონსა და ქვეყანაში ცნობილ თვალსაჩინო ადამიანებზე რომ მიუძღვნია სხვადასხვა დროს. მის ჟურნალისტურ პროდუქტიულობაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი წლების მანძილზე იბეჭდებოდა ჩ. კორინთელისა და კ. გორდელის ფსევდონიმებით.

თავს ბედნიერად ვთვლი წლების მანძილზე ბატონი კორნელის მხარდამხარ რომ მომიწია მუშაობა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში.

იუბილარია ამ დღეებში ჩვენი უფროსი კოლეგა და მეგობარი, ბატონი კორნელი ჩიხლაძე, ჩვენი კორნელი "ივანიჩი".

გულწრფელად, უდიდესი პატივითა და სიყვარულით ვულოცავთ მას 91 წლის შესრულებას, მზეგრძელობასა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.

ლევან გაბეჩავა

ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, ჩვენს უფროს კოლეგას, ბატონ კორნელი ჩიხლაძეს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს. ხანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ.

"სამტრედიის მაცნე"

ცხრა აპრილი

''დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში'',
ქართვლის შვილებს სიმხდალე აღარ გვჭირვევია,
ვახ თბილისო, მრავლისმომსწრე შენს ქუჩებში,
დაჩეხილი ქართველები ასვენია.
სამი ვაჟი და ცხრამეტი ამორძალი,
მოწამული, აკეპილი რამდენია?
დროა ძმებო, რომ ვიშიშვლოთ ისევ ხმალი,
შვილმკვდარ დედებს თვალზე ცრემლი დასდენია.
და ზვარაკად გაღებული წმინდა სისხლით
მოვინათლოთ უნდა ისევ, ქართველებად,
უნდა ვიშვათ, კვლავ, თავიდან ცხრა აპრილით,
ეს სიმწარე ვიმყოფინოთ გახელებად.
რადგან ბარით, თქვენ რომ მოგკლეს ჯალათებმა,
კავშირებსაც, ძველს სამარე გაუთხარეს,
განსაცდელად ეს გვარგუნა რადგან ღმერთმა,
ვუპატრონოთ ღვთისმშობელის წილხვედრ მხარეს.
''დაუკარით და იმღერეთ ისე ლაღად'',
რვა აპრილს რომ იმღეროდნენ ქართველები,
ხსოვნა იყოს, უკვდავება მათი მარად,
ცხრა აპრილით არასოდეს დაბერდებით.

დედაენას

შენ ჩვენო ტკბილო ენავ, მშობელო,
დედავ ენათა, ენავ ქართულო,
აზრთა სიტყვებად დამბადებელო,
ხან რა იოლო, ხანაც რა რთულო.
წმინდა სამებავ, სამსახოვანო,
ერთარსო, სრულო, საუფლო ენავ,
ჟამ მომლოდინე სამაროვანო,
განძო ულევო და აღმაფრენავ.
ანს იტყვი, ანს სწერ, ბანს _ ბანად ჩასწერ,
განსაც და დონსაც... ვიდრე ჰოემდე,
ან ყველა ასოს ერთ ნიშნით აღწერ,
ასეთ სრულყოფას ვერსად ჰპოვებდე.
უკვდავებას ჰყავს ნაზიარები
დიალექტები შენი ქართული,
მეგრულ-ლაზური, სვანურ-ჭანური,
შენებრ ძირძველი, შენებრ ზღაპრული.
რა ჟამს გაუძელ, რა ბედისწერას,
აგმხედრებიან ''შვილობილები'',
შენს სიდიადეს ვერ ავნებს ვერას
შენს დასამცრობად დაგეშილები.
იმ ჟამს მოველით, ჟამს საბოლოოს,
ჭაშმარიტება როს თვალს გაახელს
ყველა ენას, ხალხს, ვინც რამე გავნოს,
უფალი ამა ენითა ამხელს.

აკაკი რუხაძე

P.S. *შვილობილები _ პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის წიგნის ''ქართველური წარმომავლობის სათავეებთან'' _ მიხედვით, ქართული ენა მსოფლიოს ყველა ენათა დედადაა მიჩნეული.*

9 აპრილის ექო გიხაროდენ!

ერთად!
ერთის წვით და დაგვით,
ღვთის ნებით და
ვაზის ჯვრითა.
გიხაროდენ!
გიხაროდენ!
_ საქართველომ გაიღვიძა!
''ერის წყლული
მაჩნდეს წყლულად''.
ცათა შიგან
შვებით გევლოს,
ჩემო ხატო და მამულო,
ჩემი თავი შემოგევლოს.
გაზაფხულზე ია მოდის,
ყველა ია _ ჩვენს ბადიშებს,
მზე გაბრწყინდა,
მომავლის მზე,
ცრემლით დამბალ ყურთბალიშზე...
არც ვის რამეს ვედავები,
არც სხვათა კოშკს არ მოვითხოვ,
ჩემი ბუდე მინდა მქონდეს,
ჩემს სახელს და ჩემს გვარს ვითხოვ.
ღმერთო, დღეს, ამ გაზაფხულზე
დამილოცე ნატვრა ბედის,
ცხრა მარტის და
ცხრა აპრილის
სისხლო, სისხლად წაგვადექი...
ერთად,
ერთის წვით და დაგვით,
ღვთის ნებით და ვაზის ჯვრითა,
გიხაროდენ,
გიხაროდენ,
საქართველომ გაიღვიძა.

ილია ლეკვეიშვილი

თამაზ ფოფხაძე გარდაიცვალა!

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

თამაზ ფოფხაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლევან გაბეჩავა განუსაზღვრელი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა, გასული საუკუნის 80-იან წლებში სამტრედიელი ახალგაზრდების ერთ-ერთი ლიდერი, უკეთილშობილესი კაცი, ბატონი

თამაზ ფოფხაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება ''სამტრედიელი'' იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული სამტრედიელი, ბატონი

თამაზ ფოფხაძე

და თანაუგრძნობს ოჯახს.

უახლოესი მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ფოფხაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენ ერთად ვმუშაობდით...

ვენერა კაჭახიძის გახსენება



დიახ, ერთად ვმუშაობდით სახელოვანი ტრადიციების მქონე დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის სკოლაში და თქვენგან, თქვენი თაობის სხვა პედაგოგებისაგან, ძალზე ბევრს ვსწავლობდით. წარსულის ლამაზ მოგონებად იქცა ჩვენი სკოლის მჭიდროდ შეკავშირებული თანამშრომლები სამასწავლებლოში გრძელი მაგიდის ირგვლივ რომ ვისხედით და...

რამდენი წასულან ჩვენი სკოლიდან: თინა, ნორა, ნადია, იონა, გულნარა, გუგული, გოგუცა, კარლო, მიშა, იამზე, ევგენი მასწავლებლები, ჩვენი სკოლის ფხიზელი დარაჯი, გრიგოლ ბიძია, სათნო ქალბატონი, ტექნიკური მუშაკი ირა დეიდა და თქვენ. ორიოდე წლის წინ, შუა ზაფხულში აღესრულეთ და ამით დამთავრდა ჩვენი სკოლის უფროსი თაობის პედაგოგთა დიდებული პლეადა. მართალია, საკუთარი ოჯახი არ გყავდათ, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე არ მოგკლებიათ კეთილი ახლობლების ყურადღება. გაცილებით მეტი იყავით ჩვენთვის თქვენ, ვიდრე უფროსი კოლეგა.

პარასკევის მოსვლა მიხარია სკოლაში რომ მოდიხარო, მურადი და მისი ოჯახი მომიკითხეო, ასე იწყებოდა და მთავრდებოდა თქვენთან ყოველი შეხვედრა თუ სატელეფონო საუბარი.

ისევ მოვიდა 8 აპრილი, თქვენი დაბადების დღე და ისეთივე სიყვარულით გილოცავთ, როგორც მაშინ, ჩვენთან ერთად რომ იყავით. 90 წლის იუბილეზეც ვიტყვით თქვენს შესანდობარს და ღირსეულად განვლილ საამქვეყნო 88 წელს კიდევ ერთხელ შეგიქებთ.

ნათელში იყავით ჩვენო ძვირფასო ვენერა მასწავლებელო.

ლევან გაბეჩავა, მურად გელუიშვილი

ვენერა კიკაბიძე-ნიკურაძის ხსოვნას

რაიონის ინტელიგენციის უფროსი თაობის ღირსეულ წარმომადგენლებს ამ დღეებში გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი დედა და ბებია, ქალბატონი ვენერა კიკაბიძე-ნიკურაძე.

ქალბატონი ვენერა მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლებში და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა პედაგოგის რთულ და საპატიო მოვალეობას. მისი გარდაცვალება უდავოდ დაადენს ბევრს თვალთაგან სინანულის ალალ ცრემლს.

ნათელში ბრძანდებოდეთ ქალბატონო ვენერა!

ლევან გაბეჩავა

დარეჯან ჩაჩავა-ხუჭუას გახსენება

თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა, არადა წელი გასულა სათნო ქალბატონის, სიკეთით სავსე პიროვნების, ჩვენი კოლეგის, დარეჯან ჩაჩავას უდროო გარდაცვალებიდან.

ხანმოკლე აღმოჩნდა მისთვის ისედაც მოკლე წუთისოფელი.

ბევრი თბილი მოგონება დაგვიტოვა ახლობლებს, კოლეგებს, ყველას, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან სამსახურეობრივი ურთიერთობა.

ნათელში ბრძანდებოდეთ ქალბატონო დარეჯან. არასოდეს დაგივიწყებთ.

პატივისცემით საჭიდაო კლუბ ''ფალავანის'' დირექცია, თანამშრომლები

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

თეონა უღრელიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თემურ მიქაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თეონა უღრელიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გიორგი მელია ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა

2019 წლის 2-დან 5 მარტის ჩათვლით, სერბეთის ქალაქ ნოვი სადში, გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში 23 წლამდელ ასაკის სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, გიორგი მელია. გიორგიმ 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. "სამტრედიის მაცნეს" ესაუბრა გიორგი მელიას პირადი მწვრთნელი, გიორგი ვახტანგაძე: "გიორგიმ აღნიშნულ ტურნირზე საკმაოდ კარგად იასპარეზა, მან 3 შეხვედრა მოიგო, მეოთხე შეხვედრა გიორგის უპირატესობით წარიმართა, თუმცა, შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე, მის მიერ გაწეული სპორტული რისკი არ აღმოჩნდა შედეგიანი და ძალზე დასანანია, რომ მან ეს ბოლო შეხვედრა დათმო. თქვენს მკითხველებს შევახსენებ, რომ გიორგი არის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ევროპის ვიცე-პრიზიორი, მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონი დიდებში. ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაგვიბრუნდება. ვულოცავ გიორგის და მის ოჯახს, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანს" გიორგის ამ გამარჯვებას და ვუსურვებ, კვლავ არაერთხელ გაეხარებინოს გულშემატკივარი!"

ნათია ნაცვლიშვილი

შენ ხარ, ჩვენო მარინა,
ჯაზ-როკ-ბლუზის გენია,
ეს ქალაქი უშენოდ
ვერ წარმოგვიდგენია.

მერი არაბიძე საქართველოს ჩემპიონია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 17 500 ლარი), რომელშიც წრიული სისტემით 12 მანდილოსანი მონაწილეობდა. 11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულით საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა მერი არაბიძემ, რომელმაც მარტის დასაწყისში საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი, სოფიკო ხუხაშვილი. 7 ქულით მესამე ადგილზე ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი, წლევანდელი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (მე-5 დაფაზე ოქრო ერგო), სალომე მელია გავიდა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მირანდა მიქაძე _ 6,5; ქეთი წაწალაშვილი _ 6,5; ნინო ხომერიკი _ 6; სოფიო გვეტაძე _ 5,5; თამარ წერეთელი _ 5; მაკა ფურცელაძე _ 5; ალექსანდრე ვახანია _ 3,5; ინგა ხურცილავა _ 3; თამარ ესაძე _ 1 ქულა.

მედალოსნებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

მერი, ძვირფასო, გილოცავთ კიდევ ერთ, დიდ წარმატებას და გისურვებთ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში გამარჯვებას.

გულიკო გოგიტიძე
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების "ფაზისისა" და "ქალდეას" აკადემიკოსი

მარინა თელიას!

ჩვენო ძვირფასო, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მოვლენილო, მშვენიერო ქალბატონო, გილოცავთ დაბადების დღეს. მიიღე ჩვენი მილოცვა და უდიდესი სიყვარული, სითბო, რომელსაც უშურველად ასხივებ. გვინდა, დიდხანს, ასე ლამაზად და მომხიბვლელად გვყავდე შენს სამეგობროს, ჩვენო იმედო და დასაყრდენო ადამიანო!

შენი მეგობრები: მანანა მანჯგალაძე, ლალი ასათიანი, ნინო ნანიტაშვილი, შორენა ნიკოლეიშვილი

ვულოცავთ!

ანანო პაპავას!

ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდას, წარმატებულ სტუდენტს ანანო პაპავას სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. წარმატებები და ულევი სიხარული დაებედოს.

"სამტრედიის მაცნე"



ლიზი ქანთარიას!

10 წლის წინ, 23 აპრილს, ბრწყინვალე კვირეულის დიდ ხუთშაბათ დილას გაზაფხულის სურნელი, დიდი სიხარული და სიყვარული შემოიტანე ჩვენს ოჯახებში. შენ ხარ ჩვენი იმედი, სიცოცხლის წყარო და ელექსირი, ჩვენი სული ჩვენი სიყვარული. ჩვენი ფიქრები და გული ყოველთვის შენთანაა.

გისურვებთ ულევ სიხარულს, წარმატებებს ლამაზ და ბედნიერ მომავალს, ყოველ დღეს გაბრწყინებულ და მწვანედ განათებულ გზაზე სვლას.

ბებო და ბაბუ: იზოლდა ნადირაძე, მიშა ქანთარია



როცა გულით ნათქვამი გულს ესმის...

არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობა უაღრესად რთული და საპასუხისმგებლოა. ისინი ზოგჯერ თითქოს ჩრდილში დგანან. მინდა ძალიან დიდი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო "ლიბერთი ბანკის" მოლარე-ოპერატორის გაგა შენგელიას მიმართ. გაოცებული ვარ ამ ნიჭიერი ახალგაზრდის გულისხმიერებით, პროფესიონალიზმით და მომხმარებლებთან დამოკიდებულებით. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ირმა სიმსივეს ყურადღებისათვის.

გისურვებთ წარმატებულ სამუშაო დღეებს, თქვენი ბანკის შემდგომ განვითარებას და კეთილდღეობას.

პატივისცემით: ლ. ლუმქარეიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა